გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 51
(11 405)

30 ივნისი – 3 ივლისი, 2000 წ.    ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



„ლელოს“ და „ქართული ფეხბურთის“ სპეციალური კორესპონდენტი ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე მამუკა კვარაცხელია ბელგიიდან იტყობინება

# მსაჯმა ჰოლანდია ფინალში ვერ გაიყვანა

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, სტამი, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი, ბოსველტი, ზენდენი (ვან ფოსენი, 80), კოკუ (ვინტერი, 95), დავიდსი, კლუივერტი, ბერგკამპი (ზეედორფი, 88), ოვერმარსი.
**იტალია:** ტოლდო, მალდინი, კანავარო, ნესტა, იულიანო, ალბერტინი (პესოტო, 80), დი ბიაჯო, ძამბროტა, ფიორე (ტოტი, 80), ინძაგი (დელ ვეკიო, 70), დელ პიერო.
*გააფრთხილეს:* ძაბროტა, იულიანო, მალდინი, ზენდენი, ტოლდო, სტამი, დავიდსი, დი ბიაჯო.
*გააძევეს:* ძამბროტა (35 წთ.)
*მსაჯი:* მარკუს მერკი (გერმანია)

## პირველი ტაიმი

როცა ინგლისელმა ბუკმეკერებმა და მათმა უცხოელმა თანამოძმეებმა ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შანსები გამოაქვეყნეს და პირველობა ერთ-ერთ მასპინძელს, ჰოლანდიას მიანიჭეს, არავის გაჰკვირვებია — ფრანკ რაიკაარდის ნაკრები, რომ საკუთარ კედლებში, საკუთარი მაყურებლის მხარდაჭერით ისარგებლებდა, ხოლო რას ნიშნავს ეს გარემოება ფეხბურთში, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით წუხელ, როცა გერმანელმა მარკუს მერკმა თავიდანვე ყველაფერი იღონა, რათა მწვანე შუქი აენთო მასპინძლებისთვის. არბიტრმა ჯერ იტალიელი ჯანლუკა ძამბროტა ზედიზედ ორჯერ „დაასაჩუქრა“ ყვითელი ბარათით, რის გამოც ტაიმის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მინდვრის დატოვება მოუწია. მსაჯმა ეს არ იკმარა და ერთობ საეჭვო სიტუაციაში (კი, ნესტა ხელით იჭერდა კლუივერტს, მაგრამ ასეთ „პატარა“ დარღვევებზე, როგორც წესი, მსაჯები თვალებს ხუჭავენ) პენალტიც დანიშნა ტოლდის კარში. აქ კი ნერვებმა უღალატა აქამდე მშვიდად მოთამაშე სკუადრა აძურას გოლკიპერს და მამაპაპურადაც შეუკურთხა არბიტრს, მაგრამ მთავარი გასაკეთებელი საქმე წინ ჰქონდა, მას ფრანკ დე ბურის თერთმეტმეტრიანი ჰქონდა მოსაგერიებელი. ამ ამოცანას ფრანჩესკომ ბრწყინვალედ გაართვა თავი.

## მეორე ტაიმი

რიცხობრივ უმცირესობაში მყოფმა იტალიელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაში. გააქტიურდნენ დელ პიერო, ალბერტინი. ახლა როლები შეიცვალა: მასპინძლები მხოლოდ კონტრშეტევებით პასუხობენ. ერთ-ერთი მათგანი კვლავ ტრაგიკულად დამთავრდა — იულიანომ საკუთარ საჯარიმოში კლუივერტი მოცელა. დაზარალებულმა თვითონ დაარტყა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელები სულ უფრო აქტიურად მოქმედებენ და განუწყვეტლივ უტევენ ტოლდოს კარს.


### დავით ჭულუხაძე ულიცენზიოდ დარჩა

თანამედროვე ხუთჭიდელი დათო ჭულუხაძე უდავოდ ნიჭიერი სპორტსმენია და თუ ვინმეზე ამყარებდნენ იმედს, ვისაც სპორტის ამ სახეობაში შეეძლო ჩვენი ოლიმპიური ტრადიციების გაგრძელება (შეგახსენებთ, რომ ვახტანგ იაგორაშვილი ოლიმპიური თამაშების პრიზიორია) ფავორიტად ისევ და ისევ სწორედ მას მიიჩნევდნენ. ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების ბოლო შანსი ჩვენ ათლეტს იტალიაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე რჩებოდა. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ჭულუხაძე მიახლოებული იყო სალიცენზიო ნორმატივს, მაგრამ გათვლები სწორი არ გამოდგა, რის გამო დაპირებები დაპირებად დარჩა. ლიცენზია კი არა, ეს ხუთჭიდელი ოცეულშიც ვერ მოხვდა (28-ე ადგილი), შედარებით უკეთ იასპარეზა ჩვენმა მეორე წარმომადგენელმა ნოდარ ბრავმა, რომელიც მე-18 იყო.


# ფინალი! საფრანგეთი — იტალია 2.VII

## მეორე ნახევარფინალი

მატჩი №30, ამსტერდამი

## ჰოლანდია 0
## იტალია... 0
## პენალტების სერიით — 1-3




მაგრამ ფორტუნამ აშკარად აქცია ზურგი ჩემპიონატის მასპინძლებს.

### დამატებითი დრო

კვლავ განუწყვეტლივ უტევენ მასპინძლები, არაქათგამოცლილი კაცნაკლული სკუადრა აძურა კი ეტყობა მხოლოდ პენალტების სერიის იმედადაა. კლუივერტი — ააცილა კარს, დავიდსი — ააცილა, კვლავ კლუივერტი, ზეედორფი, ოვერმარსი... მორჩა, დამატებითი დროც ამოიწურა. პირველად, ევრო-2000-ზე გამარჯვებულს პენალტები გამოავლენს.

### პენალტების ჯერიც დადგა

კენჭისყრით პირველ თერთმეტმეტრიანს იტალიელები დაარტყამენ. დი ბიაჯო — შეაგდო! 1-0
ფრანკ დე ბური — ტოლდომ მეორედაც აუღო!
პესოტო — 2-0!
სტამი — ააცილა!
ტოტი — 3-0!
კლუივერტი — 3-1!
მალდინი — ვან დერ სარმა მოიგერია!
ბოსველტი — ტოლდო!
იტალია ფინალშია!
ბრავო ტოლდო! მან ამ დღეს 4 პენალტი აიღო! იტალიელთა სიხარულს საზღვარი არა აქვს! წინ ასევე საინტერესო ფინალია: იტალია — საფრანგეთი! ყველაფერი 2 ივლისს გადაწყდება.




საფრანგეთ-პორტუგალიის მატჩის მიმოხილვა იხ. მე-4 გვ.

საერთაშორისო ტურნირი

# შინ დაჩაგრულებს, უცხოეთშიც ჩაგრავენ

## ჩვენნაირი ღარიბი ქვეყნის სპორტსმენებს, სადაც წაასწრებენ, უმოწყალოდ ავიწროებენ



სურათზე: მარცხნიდან — ვიტალი მამნიაშვილი, კოტე ნანიტაშვილი, ჭოლა ჭანტურია და მწვრთნელები მამა-შვილი ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები.

ვაკის დახურული საცურაო აუზის გასახელმწიფოების შემდეგ, საქართველოში წყალში ხტომის მდიდარი ტრადიციების მზე ნელ-ნელა ჩაესვენა. საქმე იმაშია, რომ მხოლოდ ამ ბაზაზე იყო შექმნილი ნორმალური პირობები წყალმხტომელებისთვის (დარბაზი, ინვენტარი, ზამთარში ვარჯიში). აუზის ახალმა მეპატრონეებმა იმდენი „იყოჩაღეს“ თანდათან გამოიყვანეს მწყობრიდან ყველაფერი (ცნობილი ფანდია — ასე უფრო უპრიანია ბაზის პროფილის შეცვლა). მოკლედ, წყალმხტომელები „მშრალზე“ დატოვეს. მამა-შვილმა ალექსანდრე და ირაკლი ბართაიებმა შეუპოვარი ფანატიზმი გამოავლინეს და ხელი არ ჩაიქნიეს — მაინც განაგრძეს მუშაობა „ლაგუნა-ვერეს“ კომპლექსში. აქ ისინი ძირითად დროს (წელიწადში 8-9 თვეს) დარბაზში ავარჯიშებენ შეგირდებს. მერე წყალსაც უთმობენ (ზაფხულში). ღია აუზი, ძალიანაც რომ გინდოდეს, არ იძლევა წყალზე სრულწლიური ვარჯიშის შესაძლებლობას. ასე, ფედერაციისა და „ლაგუნა-ვერეს“ ხელშეწყობით და ზემოხსენებული მამა-შვილის მონდომებით გადარჩა ჩვენში წყალში ხტომა, როგორც სპორტის სახეობა. უცხოეთში გაოცებულები რჩებიან, როცა შეიტყობენ ხოლმე, რომ, ვთქვათ საგაზაფხულო ტურნირებზე ჩვენები ზამთარში დარბაზში, ბატუტზე ვარჯიშის შემდეგ ჩადიან. ასე იყო წლეულსაც. მხოლოდ ერთი თვე ივარჯიშეს ბართაიების პატარა შეგირდებმა წყალზე და პირდაპირ გაემგზავრნენ გრაცში (ავსტრია) დიდ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) ეგიდით ტარდება. ფაქტობრივად ეს არის 19

იხ. მე-2 გვ.




# ოლიმპიურ თამაშებს 77 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია, საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

*ედუარდ შევარდნაძე*

# ქუთა ისელის განცხადებები ☹

*თვეზე მეტია, ფოსტას რედაქციაში ერთსა და იმავე თემაზე და ერთი და იგივე კალიგრაფიის წერილები მოაქვს. თავიდან მისი გამოქვეყნება არც გვიფიქრია. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ავტორის ფსევდონიმი — „ქუთა ისელი", რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორი ქუთაისელია, ეს საფოსტო დამღითაც დასტურდება. მოკლედ, გვწერს ეს პატივცემული ავტორი იუმორნარევ განცხადებებს და ცდილობს დაამკვიდროს „ახალი ჟანრი". ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, ქუთა ისელის განცხადებები ჩვენი მკითხველებისთვისაც გაგვეცნო.*

*მადლობა ცოცხლებლ ავტორს, რომელიც აშკარად ჩანს, რომ თავისი ქვეყნისა და ქართული სპორტის დიდი პატრიოტია და სარკაზმულად მიგვანიშნებს იმ მანკიერებებზე, რაც ჩვენი ცხოვრების თანმდევი გახდა, და გვესირცხვილება კიდეც. თუმცა, უმეტესი განცხადება კეთილი სურვილების შემცველია. იქნებ ვინმეს ენიშნოს და შეახსენოს, ქართული სპორტი ზოგადქართული ფენომენია და მისი ტრადიციების გაღრმავება-განმტკიცებაზე საქმით ზრუნვა ყველას პატრიოტული მოვალეობაა.*

● **ცნობილი** ფირმა (ვინაობას არ ასახელებს, რადგან იცავს წესს, რომ ქველმოქმედებას რეკლამა არ ამშვენებს) დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტული დელეგაციის (ჟურნალისტების ჩათვლით) მონაწილეობისთვის გაიღებს 700 ათას ლარს. აქედან 200 ათასს თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად.

● **ივლისის** მესამე დეკადაში, ქუთაისში, დანიშნულია სრულიად საქართველოს მიკროავტობუსთა მძღოლების პირველი კონგრესი. დელეგატთა რიცხვი 600-მდეა.(ყოველ 2000 მძღოლზე 1 დელეგატი). კონგრესი განიხილავს თითო მგზავრიდან შემოსული თანხის თითო თეთრის „ქართული სპორტის გადარჩენის ფონდში" შეტანის საკითხს. ეკონომისტებმა დაიანგარიშეს და განცვიფრდნენ: მთელ ქვეყანაში დღეში მინიმუმ 500 ათასი მგზავრის გადაყვანის შემთხვევაში, ქართული სპორტი ყოველდღიურად მიიღებს 5 ათას ლარს, ანუ წელიწადში — ორ მილიონამდე.

# შინ დაჩაგრულებს, უცხოეთშიც ჩაგრავენ

*პირველი გვერდიდან*

წლამდე (ოთხ ასაკობრივ ჯგუფში) ასაკის სპორტსმენთა ევროპის პირველობა (ცალკე კონტინენტის პირველობა ახალგაზრდებისთვის და მოზარდებისთვის არ ტარდება).

„ლელოს" არაერთხელ უცნობებია თავისი მკითხველისთვის, რომ ჩვენი ნორჩი წყალმხტომელები ყველგან აოცებენ თავიანთი ოსტატობით სპეციალისტებს. გრაცში კვლავ წარმატებით იასპარეზა ვიტალი მამიაშვილმა, რომელიც ჯერ მხოლოდ 13 წლისაა. 5-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში ვიტალი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ევროპის ქვეყნების 24 უძლიერეს წყალმხტომელთა შორის. ამ პროგრამაში ჩვენი მეორე წარმომადგენელი ჭოლა ჭანტურია კი VI იყო. 3-მეტრიან ტრამპლინზე ჭანტურიას სულ რაღაც რამდენიმე მეათედმა ქულამ დააკარგვინა საპრიზო ადგილი. უფრო სწორედ, ამაზე მსაჯებმა „იზრუნეს". იცით, ეს ისეთი სპორტის სახეობაა, სადაც მსაჯთა პირადი სიმპათიები თუ სხვა მოსაზრებები (მაგალითად, როცა სხვა სურთ გაიყვანონ საპრიზო ადგილზე) გადამწყვეტია. შეიძლება 7-დან 6-მა მსაჯმა, ვთქვათ, 7-7 ქულა აჩვენა, ერთმა 5,5, ამისთვის, მას არავინ დასჯის და განმარტებას არავინ მოსთხოვს. 10 წლის ჭოლა ჭანტურიას 6 ნახტომიდან 7 მსაჯს, ე.ი. 42 შეფასებიდან საერთო ჯამში, ვიმეორებთ, საერთო ჯამში, თუნდაც ნახევარი ქულა რომ არ დაეკლოთ, იგი მესამე პრიზიორი გახდებოდა. მეოთხე ადგილზე გასულს კი მეასედი ქულით „ჩამორჩა". მოკლედ, V ადგილი, აქაც 24 მონაწილეს შორის. ჩვენგან კიდევ ერთი მონაწილე (ყველაზე უმცროსი, იგი 9 წლისაა) კოტე ნანიტაშვილი მე-19 ადგილზე გავიდა.

„ძალიან ძნელია, გაეჯიბრო ისეთ სპორტსმენებს, რომლებსაც არა მხოლოდ დაოსტატების სრულყოფილი პირობები აქვთ თავიანთ ქვეყნებში, არამედ მათ მწვრთნელებსაც, რომლებიც „სქელი ჯიბით" დადიან ასეთ შეჯიბრებებზე და თავიანთი აღსაზრდელების დასაწინაურებლად ფინანსურადაც დაუშურველად იხარჯებიან. ჩვენ არავინ არაფრად გვაგდებს. ერთადერთი შეღავათი ის არის, როცა მეც მამსაჯებენ, რაღაც ანგარიშს გვიწევენ და ხელაღებით ვერ გვჩაგრავენ" — ამბობს ალექსანდრე ბართაია.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ ჩვენების გამგზავრება ამ შეჯიბრებაზე, ფედერაციამ ვერ დააფინანსა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან წლეულს ერთი თეთრიც არ მიუღია. ისევ მშობლებმა და კეთილმა სპონსორებმა გაუმართეს ხელი ჩვენს პერსპექტიულ წყალმხტომელებს და მათ მწვრთნელს.

კიდევ ერთი: მწვრთნელმა ისიც გვითხრა, რომ ჩვენი ბავშვების ნიჭიერებით გერმანელი სპეციალისტები დაინტერესებულან და მატერიალურ წახალისებაზე ჩამოვარდნილა სიტყვა, ბართაიას პასუხს, რომ პირადად მას 2 წელიწადნახევარია ხელფასიც არ აუღია, გერმანელი კოლეგების ჰომერული ხარხარი მოჰყოლია. „ჩვენი გაჭირვება ყველამ იცის და ამიტომაც არავინ არაფრად გვაგდებს, სადაც ხელი მიუწვდებათ, უმოწყალოდ გვჩაგრავენ" — დასძინა მწვრთნელმა.

გვაპატიოს მკითხველმა, მაგრამ სიმართლე ხომ უნდა ითქვას. გვაპატიოს ჩვენმა მწვრთნელმაც, რომლის პირადი გულისტკივილი ასე საჯაროდ გამოვიტანეთ...

**თ. თომაშვილი**

# მილოცვა

„ლელო", სპორტული ჟურნალისტიკა და უფროსი თაობის სპორტულ ჟურნალისტთა სახელები განუყოფელია. მათ შორის ერთ-ერთი, ვისაც ბედმა „ლელოს" სახელწოდებით საქართველოში პირველი სპორტული გაზეთის განახლებულ გამოცემაში მუშაობა არგუნა, იყო ამჟამად ვეტერანი ჟურნალისტი შალვა ქირია. ჩვენს გაზეთში იგი 1955-1958 წლებში მუშაობდა,



შემდეგ გაზეთ „თბილისში" იღვწოდა, ბოლო წლებში კი გაზეთ „რეზონანსის" სპორტული მიმომხილველია. ***შალვა ქირია*** ახლა უკვე 70 წლის ღვაწლმოსილი მუშაკია. „ლელოს" ყველა თაობის ჟურნალისტები დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავენ თავის კოლეგას.

**კიო კუშინ კაი კარატე**

# „დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და მომავალზე იფიქრეთ"

**ქართველ** კარატისტებს საპატიო სტუმარი ეწვია. თბილისში სამი დღე იმყოფებოდა ევროპის კიო კუშინ კაი კარატეს ორგანიზაციის ტექნიკური დირექტორი ინგლისელი **ჰოვარდ შიხან კოლინზი**. მეშვიდე დანის ბრიტანელმა სტუმარმა, რომელსაც ევროპაში ბადალი არ ჰყავს და კარატეს დიდოსტატად ითვლება (შიხანი დიდოსტატის წოდებაა, რომლის მინიჭება ტექნიკური გამოცდის ჩაბარებისა და 100 ორწუთიანი ბრძოლის ჩატარების შემდეგ ხდება. ყველაფერს კი მხოლოდ ერთი დღე ეთმობა).

ჰოვარდ კოლინზმა მასპინძლებს საბაზო და საბრძოლო ტექნიკის პრაქტიკული სემინარი ჩაუტარა და კმაყოფილიც დარჩენილა, რაც პრესკონფერენციაზეც აღნიშნა – „თქვენ მებრძოლი სულის, სწავლას მოწყურებული ხალხი ხართ, 5-6 წელი მაღალი შედეგების მისაღწევად მოკლე დროა, საჭიროა მიზანდასახული მუშაობა, წინსვლას დრო სჭირდება. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და მომავალზე იფიქრეთ".

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები და სტუმარი ერთმანეთს საქართველოს კიო კუშინ კაი კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა, მესამე დანის მფლობელმა ავთანდილ შენგელიამ წარუდგინა. „შიხან კოლინზი 36 წელია კარატეს პრაქტიკულად და თეორიულად სწავლობს, კარატე მისი ცხოვრების წესია, შეიძლება ითქვას, რომ იგი ევროპაში კარატეს საუკეთესო ოსტატია, არის 2 წიგნის ავტორი. კარატეს შესახებ ვიდეო და დოკუმენტურ მასალებს ამზადებს, კარატეს მეცნიერულ დონეზე სწავლობს. მისი ცოდნა და გამოცდილება ჩვენც გამოგვადგება. მან თავად აღნიშნა, რომ საქართველოში კარატეს განვითარების პირობები არის და სემინარი ამის კარგი დასაწყისია. სტუმარმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენთან თანამშრომლობა სურს და თბილისშიც ამიტომ იმყოფება" – თქვა ავთანდილ შენგელიამ.

ასეთი დონის სპეციალისტის სტუმრობა ქართული კარატეს პრესტიჟისა და მომავლის პერსპექტივის მანიშნებელია. ერთი სემინარი თბილისში დასრულდა, მომდევნო კი რამდენიმე დღეში საბერძნეთში გაიმართება, მასში მონაწილეობას მიიღებენ კიოკუშინ კარატეს საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტი ავთანდილ შენგელია და გენერალური მდივანი, მეორე დანის მფლობელი ირაკლი დოლაბერიძე. კარატეს ინსტრუქტორთა საერთაშორისო საზაფხულო სემინარს გაუძღვება იაპონელი დიდოსტატი, მსოფლიოს ჩემპიონი კენჯი მიდორი.

**მერაბ საბანაძე**

**ქვეითი ტურიზმი თქვენი ჯანმრთელობისათვის**




# თბილისი – დიდგორი – თბილისი

ტურისტები მატარებლით ჩავლენ მცხეთაში, იქიდან ფეხით შარაგზით (რკინიგზის გაყოლებით) მიემართებიან არმაზისაკენ, რომელიც მცხეთას 2,5 კმ-ით არის დაშორებული. აქ ათვალიერებენ უნიკალურ მუზეუმს, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ადრეული ხანის ისტორიული ნაგებობები და სამარხები, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთით გადაკვეთენ რკინიგზის ხაზს და არმაზის ხევს შეუყვებიან. გზა-ბილიკი მცირე დაქანების ფერდობზე კლაკნილად აღმა მიემართება ფოთლოვანი ტყით მოსილ ხევში. 30 წუთს საშუალო ტემპით სიარულის შემდეგ ტურისტები ადიან გაშლილ ტერასაზე, სადაც უძველესი ხანის ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ნანგრევებია შემორჩენილი.

არმაზის შესახებ ვახუშტი წერს: „მეფემან ფარნაოზ აღმართა აქა კერპი არმაზ, სახელისა თვისისა, და მის გამო ეწოდა არმაზი ადგილსა ამას. და დაეუფლა ქართლის აქვე, და ფარნაოზსცა წინაშე კერპისა თვისისა. არამედ კერპისა ამისა მსახურნი რომელნი იყუნენ, იგინი იყუნენ საქართველო. ხოლო შემდგომად შემუსრა კერპი ესე წმინდამან ნინომ. არამედ იყო ქალაქი არმაზი".

არმაზის ისტორიული ძეგლის დათვალიერებისა და მცირეხანს შესვენების შემდეგ მოგზაურები ისევ აღმა აუყვებიან ხევს და ორიოდე კილომეტრის შემდეგ მიადგებიან ზვიადად აღმართულ არმაზის ციხეს, რომელიც, მიუხედავად ჟამთა სიავისაგან დანგრეული ზღუდეებისა, უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ოდესღაც აქ საქართველოს ბედი წყდებოდა, სიცოცხლე ჩქეფდა. ციხიდან გზა-ბილიკი ისევ ხევში გადის, მაგრამ ამ გზით დიდ ჯგუფს (მით უფრო გოგონებს) გაუჭირდება სიარული, ამიტომ უმჯობესია მოძრაობის მიმართულების მიხედვით მარცხენა მხარეს, ჩრდილო-აღმოსავლეთით ქედზე ავიდეთ, იქიდან წმინდა ნინოს ეკლესიის სიახლოვეს სამხრეთის მიმართულებით ვიაროთ და კარსანის დასახლებას მარჯვნიდან შემოვუაროთ. აღმა მიმავალი განიერი გზა-ბილიკი სულ მალე ნასახლარებით დაფარულ ფერდობზე გაგიყვანთ (ამჟამად ამ მიდამოების — მუხათგვერდისა და სხვა სოფლების მოსახლეობა ქვემოთ, დაბლობებშია ჩასახლებული). შემდეგ გზა სამხრეთით მიემართება, გაივლის ნასოფლარ თელოვანს (რომელიც დღეს თითქმის უკაცრიელია) და სოფელ დიდგორისაკენ იღებს გეზს. აქედან კარგად მოჩანს დიღომი, დიღმის დიდგორი და წოდორეთის მიდამოები, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — ავჭალის, გლდანის დასახლებები და თბილისის შემოგარენი. ორი საათის სავალზე სოფელ დიდგორთან გავლით გზა ხევში ეშვება და მდინარე დიღმისწყლის გადალახვის შემდეგ სოფელ დიღმის გავლით მიემართება საქართველოს სამხედრო გზისკენ, საიდანაც ტურისტებს შეუძლიათ თბილისში დაბრუნდნენ.

აღწერილი მარშრუტის საერთო მანძილი 14-15 კილომეტრს აღწევს.

გამოცდილ ტურისტებს შეუძლიათ სოფელ დიდგორიდან მარშრუტი განაგრძონ სოფელ ლისამდე და იქიდან ჩამოვიდნენ თბილისში.

**ჩოგბურთი** **სოლომონ თუხარელის ხსოვნის ღია ტურნირი**

# უკვე მესამედ მიგებული პატივი

სოლომონ თუხარელმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ჩოგბურთში, როგორც სამაგალითო სპეციალისტმა და პიროვნებამ. ასეთი ადამიანების ხსოვნას და გაწეულ ღვაწლს სათუთად ინახავს შთამომავლობა. ამის დასტურია უკვე ტრადიციად ქცეული თბილისის ღია საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და სოლიკო თუხარელის ხსოვნას ეძღვნება. ტურნირის თაოსანია ფედერაცია და ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია.

სოლიკო თუხარელის პედაგოგიურმა ალღომ და მაღალნიჭიერებამ ჩოგბურთელთა არაერთი პლეადა აზიარა სპორტის ამ ლამაზი სახეობის ოსტატობის საიდუმლოებას. მაგრამ სპორტსმენთა აღზრდა არასდროს ყოფილა ამ ფიქრიანი მწვრთნელის მოღვაწეობის ცალმხრივი მიმართულება, უპირველესად იგი ახალგაზრდებს ჭეშმარიტ ადამიანურ თვისებებს უნერგავდა და ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად აყალიბებდა. ბევრმა მათგანმა ლ. ზერეკიძემ, პ. სეხნიაშვილმა, ა. კეკელიამ, ხ. კეკელიამ, ლ. რაზმაძემ, მ. მალაციძემ, ი. მალაციძემ და სხვებმა აღმზრდელის მსგავსად, ჩოგბურთი გაიხადეს პროფესიული საქმიანობის ასპარეზად. მისი ორი ქალიშვილიც მამის კვალს გაჰყვა — ოლიკო ლ. მესხის ჩოგბურთის აკადემიაში მუშაობს მწვრთნელად, ვერიკო — ლოს-ანჯელესის საჩოგბურთო კლუბში ამზადებს შეგირდებს. სოლიკო თუხარელმა საჩოგბურთო მოღვაწეობა „დინამოში" დაიწყო და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ტურნირი ტარდება ერთეულთა თანრიგში. 1986-87 წ. დაბადებულ ***გოგონებში*** ფინალი დღეს, 30 ივნისს გაიმართება; ერთმანეთს ელენე ჰკუასელი და ელენე დალაქიშვილი შეხვდებიან. გუშინ კი მესამე პრიზიორი გამოვლინდა. ესაა ანა ჯულელი, რომელმაც მოუგო ანა ხვედელაძეს. ***1988-89 წლიანებში*** ფინალში მარია

*იხ. მე-7 გვ.*

ქართული ფეხბურთი

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას წევრთა დიდი თავყრილობა

ლუქსემბურგში გუშინ დაიწყო და პირველ ივლისამდე გასტანს უეფას 25-ე კონგრესი, მისი ძირითადი თემა უეფას აღმასკომის წევრთა ახალი არჩევნებია. უეფას აღმასკომში 14 ფუნქციონერი მოღვაწეობს. ზუსტად ნახევარს, შვიდ წევრს უფლებამოსილების ვადა გაუვიდა და კონგრესზე მათ ნაცვლად ახალს აირჩევენ. აღმასკომის ძველი წევრებიდან ბევრი საფეხბურთო სამყაროში ცნობილი პიროვნებაა. ადრე ისინი საქართველოშიც ყოფილან. გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და უეფას ვიცე-პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჟან ფაიარტი, ნორვეგიის ფეხბურთის პრეზიდენტი და უეფას ვიცე-პრეზიდენტი პიერ ომდალი, კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მორის ლევკარიდისი, მალტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იოზეფ მიფსუდი, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სპრენგერსი და იტალიის წარმომადგენელი, უეფას ვიცე-პრეზიდენტი ანტონიო მატარეზე. მათ მაგივრად 14 კანდიდატიდან, როგორც ვთქვით, შვიდს აირჩევენ. ამით არჩევნები არ დასრულდება, ევროპული ფეხბურთის თავკაცებს ფიფას აღმასკომში თავიანთი, უეფას ოთხი წარმომადგენელი ჰყავთ ასარჩევი, კანდიდატი კი აქ ხუთია — ფიფას აღმასკომის ოთხი ძველი წევრი ბელგიელი დე ხოკი, თურქი სენეშ ერზაკი, მალტელი მიფსუდი, ესპანელი ვილარ ლიონა, (მათ თავიანთი კანდიდატურები ახალი ვადით არჩევნებშიც წარადგინეს) და რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი.

უეფას კონგრესში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებიც მონაწილეობენ. იქ იმყოფება პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე.

2 ივლისს, უეფას კონგრესის ყველა მონაწილე როტერდამში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩს დაესწრება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთა ევროპული ვოიაჟი ამით არ დასრულდება, ისინი ფრანკფურტში ჩავლენ და 4 ივლისს გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვდებიან.

* * *

უეფას კონგრესის შემდეგ საერთაშორისო ფეხბურთის დიდმოხელენი შეისვენებენ. მათი მორიგი თავყრილობა 3-6 აგვისტოსაა დაგეგმილი. ციურიხში ფიფას კონგრესი გაიმართება.



ჯანი კარნევალეს (ფოტოზე მარჯვნივ) „დინამო“ თანდათან სახეს იცვლის. მიდიან ლ. ხომერიკი, ა. მუჯირი, მ. მახარაძე. სხვებიც, მოკლედ, მიმდინარეობს ჩვეულებრივი სასელექციო მუშაობა.



## მიდის თუ არა ჩივაძე აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელად?

ხმები ამის თაობაზე ბოლო ხანებში გავრცელდა. ჩივაძე და სფფ, სადაც ეს ვეტერანი ფეხბურთელი და საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ახლა ვიცე-პრეზიდენტია, ყოველგვარი კომენტარებისგან თავს იკავებენ. თუმცა არ უარყოფენ, რომ მინიშნებებით ამ თემაზე საუბარი მართლა ყოფილა. ერთი რამ „ლელომ“ დანამდვილებით შეიტყო: თუ აზერბაიჯანელებს ნამდვილად სურთ ალექსანდრე ჩივაძის თავიანთ ეროვნული საფეხბურთო გუნდის უფროს მწვრთნელად მიწვევა, საამისოდ ჩინებული სიტუაცია იქნება ლუქსემბურგში, სადაც უკვე დაიწყო უეფას 25-ე კონგრესი და იქ, აზერბაიჯანისა და საქართველოს ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელები, ბუნებრივია, ერთმანეთს შეხვდებიან. შეგახსენებთ, რომ კონგრესის მუშაობაში სფფ-დან პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია მონაწილეობენ.

# ჩოხელის თასი — «დინამოს»

### დინამო (თბილისი) — ხალიბი-97 (რუსთავი) 3-2

**დინამო:** კოდალაევი, სალუაშვილი, სტურუა, ფირცხალაიშვილი, ჩხაიძე (გეგუჩაძე 82), მისაბიშვილი (კახნიაშვილი, 90), აბრამიშვილი, ჯობავა, სანიკიძე, კაჰკაჰიშვილი (ქარდავა, 58), სალარეიშვილი (ცხოიძე, 87).

*მწვრთნელები:* გოჩა ხიტირი, ბორის სიჭინავა.

**ხალიბი:** ბუაძე, ლაბაძე, ქერაშვილი, სივსივაძე, ზაზაშვილი, რეხვიაშვილი, ლაბაძე, მიქაძე, მარგალიტაძე (ნიკოლოზიშვილი, 68), მიქავა (გაბიჩვაძე, 68), სოხაძე.

*მწვრთნელები:* მურმან გოგოლაძე, თამაზ კონიაშვილი.

*გოლები:* 1-0 სანიკიძე (10), 2-0 სალარეიშვილი (35), 2-1 მიქაძე (41), 3-1 მისაბიშვილი (62), 3-2 ქერაშვილი (83)

*გაფრთხილება:* სანიკიძე, სტურუა

*გაძევება:* ქარდავა

*მსაჯები:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი), მ. მაისურაძე, ო. ხეცაძე (ორივე — თბილისი).

27 ივნისს თელავმა ტრადიციულად უმასპინძლა შესანიშნავი ფეხბურთელის გივი ჩოხელის თასის გათამაშების ფინალურ შეხვედრას. მატჩი საინტერესო და კარგი სანახავი გამოდგა. თბილისელები თავიდანვე დაეუფლნენ ინიციატივას და მიუხედავად რუსთაველთა მედგარი წინააღმდეგობისა, თანაც ფეხბურთელის გაძევებისა, „დინამომ“ მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა. თბილისელ ქარდავას მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო დაატოვებინეს მოედანი. ცხადია, ამ სამწუხარო ინციდენტმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო „დინამო“ და ჩინებულ მატჩს ჩრდილი მიაყენა. ჩოხელის თასი თბილისის „დინამომ“ ზედიზედ მეხუთედ მოიგო.

მატჩის შემდეგ დააჯილდოვეს გამორჩეული ფეხბურთელები. საუკეთესო მეკარის პრიზი წილად ხვდა ბესარიონ კოდალაევს („დინამო“), საუკეთესო მცველისა — გიორგი ქერაშვილს („ხალიბი“), ნახევარმცველისა — ვლადიმერ მისაბიშვილს, თავდამსხმელისა ბექა სალარეიშვილს (ორივე — „დინამო“).

გამარჯვებული გუნდი დინამოელთა სპორტსკოლის (დირექტორი ოთარ გეგეჭკორი), მეორე პრიზიორები კი რუსთავის საფეხბურთო სკოლის (მამული ჩაჩავა) აღსაზრდელები არიან.

**ვაჟა პაპაშვილი,**
თელავი

### მინიფეხბურთი ● გ. ჩოხელის პრიზზე

# შსს აკადემია ტრადიციას აგრძელებს

ტრადიციაში მინიფეხბურთში გ. ჩოხელის პრიზის გათამაშება იგულისხმება. ტურნირის დრო ივნისია, ფინალური მატჩი კი 27 ივნისს, გ. ჩოხელის დაბადების დღეს ტარდება. მონაწილე გუნდებზე „ლელო“ უკვე იუწყებოდა.

ჯგუფური შეხვედრების შემდეგ ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ: თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო — შსს აკადემია; უნივერსიტეტი „აჭარა“ — დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

მესამე ადგილისთვის პაექრობაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გუნდს სძლია ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს ნაკრებმა. პირველობა კი წილად ხვდა შსს აკადემიის გუნდს, რომელიც მეხუთედ დაეუფლა გ. ჩოხელის ხსოვნის თასს. ფინალში მისი მეტოქე იყო უნივერსიტეტ „აჭარის“ გუნდი, რომელიც ამ ტრადიციული ტურნირის პრიზიორი პირველად გახდა. ტურნირის სპეციალური პრიზები ხვდათ: საუკეთესო მეკარის — ზაზა ლოლაშვილს (თბ. შს მთ. სამმ), მცველისა — კახა ლოლაძეს (პოლ. დეპ.), საუკეთესო მოთამაშისა — ენრიკო ბერიშვილს („აჭარა“), ბომბარდირისა — დავით ბახტაძე (შსს აკადემია). სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ტურნირის მთ. მსაჯი, საქ. დამს. მწვრთნელი თენგიზ ხვადაგიანი. პრიზები გადასცეს შსს აკადემიის უფროსმა შოთა გიორგაძემ და უნივერსიტეტ „აჭარის“ რექტორმა ოთარ შარაძემ.

ტურნირის ჩატარებას ხელმძღვანელობდა შსს აკადემიის პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილება (უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი თ. ფიცხელაური).

**სოფიკო ნინაშვილი, ირინა ძობალია,**
შსს აკადემიის პრეს-ცენტრი

გამარჯვებული გუნდი ტურნირის ორგანიზატორებთან



# საქმენი სატრანსფერონი

## „არაუს“ - ხომერიკის გარდა მუჯირიც სურს

როგორც ყველგან, სატრანსფერო ციებცხელება ქართველ ფეხბურთელებსაც მოედო, თუმცა, მხოლოდ მათ არა. ჯერჯერობით მწვრთნელებით დავიწყოთ.

ინტერტოტოს თასზე ბელგიის „სტანდარტთან“ პაექრობის შემდეგ თბილისის დინამოელები მოკლევადიან შვებულებაში არიან და ახალი სეზონისათვის მზადებას სავარაუდოდ 5 ივლისიდან შეუდგებიან, ოღონდ ახლა არა ჯემალ ჩიმაკაძის (იგი მთავარი მწვრთნელის მოვალეობას დროებით ასრულებდა), არამედ, როგორც ვარაუდობენ, ***მურთაზ ხურცილავასა*** და ***სერგო კუტივაძის*** ხელმძღვანელობით. თუმცა, ეს საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდება, როცა ისინი „დინამოს“ კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდებიან და საბოლოოდ გაარკვევენ მომავალი კონტრაქტის დეტალებს.

ახლა ფეხბურთელებზე. ამ დღეებში ინტერნეტით ქართველებისთვის ერთი საინტერესო ცნობა გავრცელდა — 1,5 მილიონი დოლარის საფასურად პრემიერლიგის „ნიუკასლმა“ არგენტინული „რასინგიდან“ ერთი სეზონით 25 წლის შემტევი ნახევარმცველი დანიელ კორდონე ინათხოვრა. ქართველი გულშემატკივარი მიხვდება რაშიც არის საქმე: მარადონას ქვეყნიდან გადმოყვანილი ფეხბურთელი თემურ ქეცბაიას პოზიციაზე თამაშობს. ინგლისელები ფულს ტყუილად არ გადაყრიდნენ, ეტყობა „ნიუკასლის“ დამრიგებელი რობსონი კორდონეს დააყენებს ძირითად შემადგენლობაში. ასე რომ, ჩვენებურს, ალბათ, ახალი კლუბის მოძებნა მოუწევს. ეს მეტად საწყენი ამბავია, მით უმეტეს ახლა, როდესაც კარს მოგვადგა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები და საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცები სწორედ ქეცბაიაზე ამყარებდნენ დიდ იმედებს.

სხვა სიახლეებიდან ყურადღებას იპყრობს შვეიცარიიდან მოსული ამბავი. ამას წინათ ბათუმის „დინამოს“ იტალიელი მთავარი მწვრთნელი ჯანი კარნევალე თავდამსხმელ ***ლევან ხომერიკთან*** ერთად ციურიხს გაფრინდა იქაურ „არაუსთან“ მოსალაპარაკებლად. ჯერჯერობით „ბაჩა“ (ხომერიკის მეტსახელი) თავის შესაძლო მომავალ გუნდთან ვარჯიშობს, ამხანაგურ შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა. როგორც გავიგეთ, შვეიცარიელები მალე ხომერიკის ერთ თანაგუნდელს — მარცხენა ნახევარმცველს ამირან მუჯირსაც გასინჯავენ, ვნახოთ, ყველაფერი ამ ერთ-ორ კვირაში გადაწყდება.

# ბორჯომს ლაგოდეხი ამჯობინა

თბილისში ხმა გავრცელდა, თითქოს თბილისის „ლოკომოტივისა“ და ეროვნული ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველი ***კახი გოგიჩაიშვილი*** თურქეთის „ერზრუმსპორში“ გადადის. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად დილომში, რკინიგზელთა კლუბის ბაზას ვესტუმრეთ. „გოგიჩაიშვილი ჯერჯერობით არსად წასულა და უეფას თასზე ქართული გუნდის შემადგენლობაში ითამაშებს“ – გვითხრეს „ლოკომოტივის“ მესვეურებმა. დილომში სხვა ამბავიც შევიტყვეთ – მოედნების უსახსრობის გამო რევაზ ძოძუაშვილის შტაბმა ბორჯომში დაგეგმილი შეკრება იუარა – „ლოკო“ საევროპოდ ლაგოდეხში მოემზადება.

# «გურულოს» პრიზი

ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრის, სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპულ გურულიშვილის სახელობის საფეხბურთო სკოლა „შავნაბადამ" თელეთში ჩაატარა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში მიძღვნილი „გურულოს" ხსოვნისადმი (1987 და 1988 წლებში). ტურნირი ტრადიციაა და მეოთხედ გაიმართა. მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის „ხაზრი". თბილისის „21-ე საუკუნე" (ორი გუნდი), „სიონი" (ბოლნისი), „მამული" (რუსთავი), „მადნეული" (კაზრეთი), „შავნაბადა", სულ ტურნირზე მონაწილეობდა 1987 წლებში — 8, 1988 წლებში — 10 გუნდი.

1987-იანებში პირველობა მოიპოვა „მამულმა" (საფ. სკ. დირექტორი ბ. ჩაჩავა, მწვრთნელი გ. მოდებაძე), მეორე იყო „მადნეული", მესამე — „ხაზარი".

1988-იანებში უძლიერესი იყო „შავნაბადა". (საკ. სკ. დირექტორი გ. გურულიშვილი, მწვრთნელები — ი. მეშველიანი; გ. სუხიტაშვილი). მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს „21-ე საუკუნის" პირველმა და მეორე გუნდებმა. (დირექტორი გ. ლეჟავა, მწვრთნელები — ნ. ლეჟავა; გ. ბუაძე). ტურნირზე დაწესებული იყო მრავალი ფასიანი პრიზი და საჩუქარი.

*სურათზე: „ხაზარისა" (აზერბაიჯანი) და „შავნაბადას" (თელეთი) მატჩის მონაწილენი.*



## ინტერტოტოს თასი II ეტაპი

INTERTOTO CUP

**1–2 ივლისი — 8–9 ივლისი**

უნისპორტი (მოლდოვა) — ზალცბურგი (ავსტრია)
ზენიტი (რუსეთი) — პრიმორიე (სლოვენია)
პერუჯა (იტალია) — სტანდარდი (ბელგია)
ნეა სალამინა (კვიპროსი) — აუსტრია ავსტრია)
სტაბეკი (ნორვეგია) — ოსერი (საფრანგეთი)
დინაბურგი (ლატვია) — ოლბორგი (დანია)
ლინცერი (ავსტრია) — დუკლა (ჩეხეთი)
ატლანტასი (ლიტვა) — ბრედფორდი (ინგლისი)
მალიორკა (ესპანეთი) — ჩაჰლაული (რუმინეთი)
ბლშანი (ჩეხეთი) — მოგილიოვი (ბელარუსი)
სედანი (საფრანგეთი) — ლეიფტური (ისლანდია)
ქსამაქსი (შვეიცარია) — შტუტგარტი (გერმანია)
ზაგლებე (პოლონეთი) — სლავენი (ხორვატია)
ტატაბანია (უნგრეთი) — ციბალია (ხორვატია)
პელისტერი (მაკედონია) — ფრიოლუნდა (შვედეთი)
ველბაჟდი (ბულგარეთი) — სიგმა (ჩეხეთი)

**მესამე ეტაპიდან** (15-16 და 22 ივლისი) ჩაებმებიან: სელტა (ესპანეთი), უდინეზე (იტალია), ვოლფსბურგი (გერმანია), ასტონ ვილა (ინგლისი), კალამატა (საბერძნეთი), ლანსი (საფრანგეთი), ვალვაიკი (ჰოლანდია), როსტსელმაში (რუსეთი).

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### უარი თქვა „გალათასარაიზე"

ფრანგმა მწვრთნელმა ლ. ფერნანდესმა ბოლო მომენტში უარი თქვა სათავეში ჩასდგომოდა თურქეთის „გალათასარაის". უეფას თასის მფლობელმა ფეტიხ თერიმის იტალიურ „ფიორენტინაში" გადასვლის გამო თითქმის დაითანხმა ცნობილი სპეციალისტი, რომელიც დიდხანს მუშაობდა ესპანეთში ბილბაოს „ათლეტიკში", მაგრამ ფერნანდესმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონში ტაიმ-აუტის აღება გადაწყვიტა და უნდა დაისვენოს. ამასთან, ფრანგმა უკვე მიიღო ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიწვევა ტელეკომენტატორის როლში სცადოს ბედი.

### ელიასმა ელადა აირჩია

ბრაზილიელმა ჟოზე ელიასმა გამოაცხადა თავისი ახალი კონტრაქტის დადების შესახებ. ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა, რომელიც მილანელებმა (ბრაზილიელი „ინტერში" თამაშობდა) იჯარით გადასცეს „ბოლონიას", ოთხწლიანი კონტრაქტი დადო საბერძნეთის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსთან".

პირეის კლუბის სახელით ელიასის ორი თანამემამულე უკვე გამოდის თავდამსხმელი ჯოვანი (ადრე ესპანეთის „ბარსელონაში" გამოდიოდა) და მცველი ლუსიანუ დე სოუზა.

* **

„ოლიმპიაკოსის" გოლკიპერმა სტეფან პორატომ კი საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოსთან" ხელი მოაწერა ხუთწლიან კონტრაქტს. ტრანსფერის ღირებულება 35 მილიონი ფრანკია (5,12 მილიონი დოლარი), 26 წლის პორატი ახალ კლუბში შეცვლის ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასულ ფაბიენ ბარტეზს. პორატო 1998 წლამდე სამთავროს ამ კლუბში მისი დუბლი იყო.

### ლიცენზია ჩამოართვეს

ბერლინის ცნობილ კლუბ „ტენის ბორუსიას", რომელ იც გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში გამოდიოდა, ეკონომიკური სიძნელეების გამო ლიცენზია ჩამოერთვა. „ტენის ბორუსიამ" ჩემპიონატში მე-13 ადგილი დაიკავა და ამდენად, ლიგა არ უნდა დაეტოვებინა, მაგრამ ახლა ადმინისტრაციული წესით მაინც ჩამოაქვეითეს და რეგიონალურ ლიგაში გადაიყვანეს. მისი ადგილი „შტუტგარტერ კიკერსს" დაეთმო, რომელსაც სპორტული შედეგების თანახმად მეორე ბუნდესლიგა უნდა დაეტოვებინა.

### ჰასელბაინკი შირერს დაენია

მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა ლონდონის „ჩელსისთან" გააფორმა კონტრაქტი, ტრანსფერის თანხა — 15 მილიონი სტერლინგი (22,43 მილიონი დოლარი) ზუსტად ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც 1996 წელს „ბლეკბერნ როვერსიდან" „ნიუკასლ იუნაიტედში" ალან შირერისათვის გადახდილი. ერთი წლის წინათ მადრიდის „ატლეტიკომ" ჰოლანდიელი „ლიდს იუნაიტედისაგან" 12 მილიონ სტერლინგად იყიდა.

## კიგანი რჩება, რადგან „მისია" შეასრულა

მიუხედავად ევროპის პირველობაზე განცდილი დიდი მარცხისა (ორი წაგება და მხოლოდ ერთი მოგება), კევინ კიგანი ინგლისის ნაკრების მწვრთნელად რჩება. რატომ? იკითხავს გულშემატკივარი. თურმე იმიტომ, რომ შეასრულა „ისტორიული მისია" — დაამარცხა გერმანიის ნაკრები, რომლებთანაც ინგლისელებს უკვე 34 წელიწადი (მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ „უემბლიზე") არ მოუგიათ.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე კიგანი ასე თვლიდა — მთავარი იყო გერმანელებთან მოგება, პორტუგალიელებსა და რუმინელებს ყოველთვის მოევლებოდათ. ყველაფერი პირიქით კი მოხდა.

კიგანი ჩემპიონატის წინ ოპტიმისტურად კი იყო განწყობილი, მაგრამ ბევრ რამეში შეცდა. მისი ნაკრები ამ ასპარეზობისათვის მზად არ იყო. მეკარეებმა აშკარად არ გაამართლეს იმედები: არც სიმენმა და არც მარტინმა. როგორც ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა სრულიად სამართლიანად შენიშნა, არც ერთი იყო შილტონი და არც მეორე — კლემენსი. დიახ, ინგლისელებს ადრე ყოველთვის საიმედო მეკარეები ჰყავდათ, ახლა კი... სიმენი ისე არადამაჯერებლად მოქმედებდა პორტუგალიელებთან, რომ მთელი დაცვა ანერვიულა და ფაქტობრივად, მწყობრიდან გამოიყვანა, თვით




კი ფიგუს დარტყმის შემდეგ სრულიად იოლი გოლი გაუშვა. ორი თამაშის შემდეგ იგი მარტინმა შეცვალა, მაგრამ ახალი მეკარე რუმინელებთან ფრენბურთელივით მოქმედებდა და კიდევაც დაისაჯა. დაცვის ხაზი, ექსპერტების აზრით, სულ სხვანაირი უნდა ყოფილიყო. ნათელი არ არის, რატომ შეიყვანეს ნაკრებში ახალგაზრდა და გამოუცდელი ჯერარდი და ბარი, ხოლო საიმედო დაიერს, ეხიოგუსა და ფერდინანდს კი ყურადღება არ მიაქციეს. რა თქმა უნდა, იმედებს ამყარებდნენ მაკმანამანზე, მაგრამ, როცა მან ტრავმა მიიღო, მარცხენა ნახევარმცველის ღირსეული შემცვლელი საერთოდ არ აღმოჩნდა. ამ პოზიციაზე უაიზი სუსტად გამოიყურებოდა. კიგანს არც თავდასხმამ გაუმართლა. უკვე მერამდენედ ამყარებს მწვრთნელი იმედს შირერზე და არაფერი გამოდის. ინგლისის ჩემპიონატში (და ნაკრების საშინაო მატჩებშიც!) შირერი დიდი ფიგურაა, მაგრამ ყველგან, სამშობლოს როცა კი სტოვებს, სრულიად იკარგება. ოუენი, რა თქმა უნდა, სხვა ინგლისელებზე უკეთ გამოიყურებოდა. თუ ვინმემ გააკეთა რამე გერმანელებსა და რუმინელებთან, სწორედ ოუენმა გააკეთა, ისე კი, ფიზიკურად სუსტია, ძალები, ბევრი-ბევრი, ერთ საათს თუ ჰყოფნის. კიგანს დიდი იმედი ჰქონდა ისეთი ფიზიკურად ძლიერი და არაორდინარული თავდამსხმელისა, როგორიც ჰესკია. მაგრამ, ეტყობა, თვით ნაკრებში მიმდინარე რაღაცა „პროცესების" გამო, არც ერთი ინგლისელი მას ბურთს არ აწოდებს, რაღაცაშია საქმე!

არავინ იცის, რატომ აკეთებს ახლა, ჩემპიონატის შემდეგ, კევინ კიგანი ესოდენ ოპტიმისტურ განცხადებებს: ყველაფერი კარგად არის, ცოტათი არ გაუმართლათ, ცოტაოდენი შეცდომა მოუვიდათ, ყველაფერი იოლად გამოსწორდება.

ამასობაში კი ნაკრებს სტოვებენ ვეტერანები: სიმენი, ინსი, ადამსი, შირერი, შეიძლება სხვებიც... შემოდგომისათვის კი ინგლისის ახალი ნაკრებია შესაქმნელი.




## ტოტალიზატორზე მილიონებია, გაკვეთილები კი ცდება...

ტაილანდის განათლების სამინისტროს სპეციალურ კომუნიკეში ლაპარაკია ამ დღეებში სკოლების უფროს კლასებში მეცადინეობის მასობრივ გაცდენაზე, რომელიც ევრო-2000-ის პირველსავე დღეს დაიწყო კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. AFP-ს კორესპონდენტი აღნიშნავს, ფეხბურთის ნორჩი მოყვარულები ტელევიზორთან ატარებენ ღამეებს, უყურებენ პირდაპირ ტრანსლაციებს ბელგიისა და ჰოლანდიის სტადიონებიდან, რეპორტაჟები იწყება შუაღამეს და მთავრდება დილის 4 საათზე ადგილობრივი დროით. განათლების მინისტრმა ტელეარხების ხელმძღვანელებს მოწოდებით მიმართა გადაიტანონ საფეხბურთო რეპორტაჟები დღის საათებში, როცა სასწავლებლებში დიდი შესვენებებია.

## ევრო–2000 და ტოტალიზატორი

ტაილანდის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნეს ეკონომიკური გამოკვლევების ინსტიტუტების საინტერესო მონაცემები: იატაკქვეშა საფეხბურთო ტოტალიზატორების სათანხო ბრუნვა, რასაც უმთავრესად სტუდენტები თამაშობენ, შეადგენს 20 მილიარდ ბატს — დაახლოებით ნახევარ მილიარდ ამერიკულ დოლარს.

### ჩემპიონატის კვალდაკვალ

უეფა-ს სულ ორი კვირა დასჭირდება ევროპა-2000 ჩემპიონატისადმი მიძღვნილი წიგნის გამოსაშვებად. ამ გამოცემაში გაანალიზებული იქნება მონაწილე გუნდების სათამაშო და ტაქტიკური სქემები, გამოკვლევა ფეხბურთის ევოლუციის შესახებ. წიგნის ავტორები იქნებიან ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორიც არიან ბრიტანელები როი ჰოდჯსონი და ენდი როკსბურგი, რუმინელი ანგელ იორდანესკუ, გერმანელი ბერტი ფოგტსი, ფრანგი ჟერარ ულიე, სლოვაკი იოჟეფ ვენგლოში და ჰოლანდიელი რინუს მიხელსი.

### ერუდიტებო, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!

**ევრო–2000**

***1. ვისი ნაკრებია ევროპის პირველი ჩემპიონატის გამარჯვებული?***
ა) იტალიის
ბ) სსრ კავშირის
გ) უნგრეთის

***2. ვინ გაიტანა ევროპის ჩემპიონატში პირველი გოლი?***
ა) კენტულმა (ირლ)
ბ) კრაუზმა (ჩეხ)
გ) ტუჰმა (ირლ)

***3. ვინ იყო ევროპის პირველი ჩემპიონატის მესამე პრიზიორი?***
ა) საფრანგეთი
ბ) იუგოსლავია
გ) ჩეხოსლოვაკია

***4. ვინ იყო ის სამეული, რომლებიც ერთნაირი შედეგით ევროპის პირველი ჩემპიონატის ბომბარდირები გახდნენ?***
ა) პონედელნიკი (სსრკ), ბუბნიკი (ჩეხ), ჟანეტიჩი (იუგ)
ბ) ფონტენი (საფრ), ბუბერნიკი (ჩეხ), ვენსონი (საფრ)
გ) ბუბნიკი (ჩეხ), დი სტეფანო (ესპ), პოლი (პოლ)

***5. რომელი ქართველი ფეხბურთელი შევიდა ევროპის პირველი ჩემპიონატის შემდეგ კონტინენტის სიმბოლურ ნაკრებში?***
ა) მიხეილ მესხი
ბ) სლავა მეტრეველი
გ) გივი ჩოხელი.

***„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები: 1 — ა, 2 — გ, 3 — გ, 4 — ბ, 5 — ა.***

## სიდნეის საფეხბურთო საგზურები სლოვაკეთში დარიგდა

ევროპის ახალგაზრდა ფეხბურთელთა (21 წლამდე) ჩემპიონატი წლეულს სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი შეჯიბრება იყო. „ძველ სამყაროს" ოთხი საამისო საგზური ერგო.

შეჯიბრება სლოვაკიაში ჩატარდა. 8 მონაწილე ჯერ ორ ჯგუფად დაჰყვეს, „ა" ჯგუფში მოხვდნენ ჩეხეთის, ესპანეთის, ჰოლანდიისა და ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრებები. ორი მოგებითა და ერთი ფრეთი, 7 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ჩეხეთის გუნდი. 5 ქულა მოაგროვეს ესპანელებმა, 3 — ჰოლანდიელებმა, 1 ხორვატებმა.

„ბ" ჯგუფში 7-7 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება იტალიელებმა და სლოვაკებმა. ბურთების უკეთესი სხვაობის გამო პირველი ადგილი იტალიელებს მიეკუთვნათ. 3 ქულა დააგროვეს ინგლისელებმა, თურქებმა კი სამივე მატჩი წააგეს.

პირველი ადგილისათვის მატჩი იტალიელებმა ანგარიშით 2-1 სძლიეს ჩეხებს და ევროპის ჩემპიონები გახდნენ. აი მათი შემადგენლობა: აბიატი, გრანდონი, ძანკი, ჩირილო, გატუზო, ბარონიო, ძანეტი (ფირმანი), კოკო, პირლო, კამადინი (ვენტოლა), სპინეზი (ვანუკი).

მესამე ადგილისათვის მატჩი ესპანელებმა ფერონის ერთადერთი გოლის წყალობით მოუგეს სლოვაკებს.

ამრიგად, ოლიმპიადის საგზურები მოიპოვეს იტალიის, ჩეხეთის, ესპანეთისა და სლოვაკეთის ნაკრებებმა.

### ოლიმპიური წილისყრა

ავსტრალიაში გაიმართა 2000 წლის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის მონაწილეთა წილისყრა. მატჩები დაიწყება 13 სექტემბერს — თამაშების ოფიციალურ გახსნამდე ორი დღით ადრე.

ვაჟთა ტურნირი.

**ჯგუფი A:**
ავსტრალია, იტალია, ნიგერია, ჰონდურასი.
**ჯგუფი B:** მაროკო, ჩილე, სამხრეთ კორეა, ესპანეთი.
**ჯგუფი C:** აშშ, ჩეხეთი, კამერუნი, კუვეიტი.
**ჯგუფი D:** სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, იაპონია, ბრაზილია, სლოვაკია.

ქალთა ტურნირი.

**ჯგუფი E:** ავსტრალია, შვეცია, ბრაზილია, გერმანია.
**ჯგუფი F:** აშშ, ნორვეგია, ჩინეთი, ნიგერია.

# სერგეი რებროვი: „დაწყნარდით გულშემატკივრებო, დემეტრაძე-შაცკიხის ინტერნაციონალური დუეტი ჩემი და შევჩენკოს ღირსეული შემცვლელია“

«ლელოს» ექსკლუზივი



სწორედ კიევის «დინამოს» ინტერესებიდან გამომდინარე განუცხადა რებროვმა თანხმობა ინგლისელებს ანუ კიდევ ერთი ფაქტი, თუ როგორი უნდა იყოს კლუბისა და ფეხბურთელის ურთიერთობა — გუნდის ინტერესები ყოველთვის პირადულზე მაღლა დგას

ამას წინათ, უკრაინულ ფეხბურთში ღირსსახსოვარი ამბავი მოხდა — კიევის „დინამოს“ თავდამსხმელმა სერგეი რებროვმა ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურთან“ გააფორმა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც „დინამოს“ პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა „ნისლიანი ალბიონიდან“ 16,5-მილიონიანი ჩეკი ჩაიბარა. ეს გარიგება „ტოტენჰემის“ ისტორიაში სარეკორდოა. ამიერიდან უკრაინელი ფეხბურთელი 5 წლით მისი საკუთრებაა. იტყობინებიან, რომ რებროვის ჯამაგირი კვირაში 25 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება. ამ დღეებში მადლიერმა უკრაინელმა გულშემატკივარმა გულთბილი გაცილება მოუწყო თავის კერპს — გამგზავრების წინ მან უკანასკნელად მოირგო „დინამოს“ ფორმა და ქვეყნის თასის ფინალში თანაგუნდელებს გამარჯვება მოაპოვებინა. გუშინ კი ინტერნეტში ამოვიკითხეთ ცნობა, რომ ორკვირიანი ლოდინის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის შრომის სამინისტრომ ოფიციალური თანხმობა გასცა რებროვისთვის სამუშაო ვიზის გამოყოფაზე. ახლა, როცა „ლელოს“ ამ ნომერს კითხულობთ, უკრაინელი ფეხბურთელი უკვე ლონდონში იმყოფება და თავის ახალ თანაგუნდელებს ეცნობა. ინგლისში გამგზავრების წინ „ლელოს“ მოსკოველმა კორესპონდენტმა არკადი სმირნოვმა მოინახულა ექს-დინამოელი.

● ***სერგეი, რატომ მაინცდამაინც „ჰოტსპური“?***

— ჩემთვის პირდაპირ არ მოუმართავთ, „დინამოს“ კლუბის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა მითხრა, რომ ჩემი მიწვევა სურდათ აგრეთვე ინგლისურ „არსენალს“, შოტლანდიურ „რეინჯერსს“, იტალიურ „მილანს“. კარგად დაფიქრდი, „დინამოდან“ არავინ გაგდებს, ლობანოვსკის სურვილია, შენთან ერთად მოიგოს ჩემპიონთა ლიგა, მომავალ სეზონში ეს სავსებით რეალური ამოცანააო. მერე, როცა ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, არჩევანი „ჰოტსპურზე“ შევაჩერეთ — პირველ რიგში, ასეთი ვარიანტი „დინამოს“ აძლევდა ხელს, თუმცა, ჩემი პირადი გასამრჯელო სხვა გუნდში უფრო მაღალი იქნებოდა. აბა, როგორ მეთქვა უარი სურკისისთვის — „დინამოში“ ჩამოვყალიბდი ოსტატად და მასთან ბევრი სასიამოვნო წუთი მაკავშირებს. კაცი უმადური არასოდეს უნდა იყო.

● ***თქვენი საფეხბურთო კარიერა კიევთან შედარებით უფრო „პროვინციულ“ დონბასში დაიწყეთ.***

— მაშინ, სიჭაბუკის წლებში, სწორედ დონეცკი მიმაჩნდა მსოფლიოს ცენტრად. კი, კიევის „დინამო“ კარგია — ლეგენდა, ტრადიციები, სახელები, მაგრამ იქ ვინ ჩამაყოფინებდა ცხვირს. თანაც ვჭოჭმანობდი, მაინც სპორტის რომელი სახეობისთვის მომეკიდა ხელი, კალათბურთსაც ვთამაშობდი, ფრენბურთსაც, მაგრამ პატარა ტანის გამო ფეხბურთზე შევჩერდი და არც ვნანობ. დონეცკის სპორტინტერნატში გადავდგი პირველი ნაბიჯები, ძლიერ გამიჭირდა. მხოლოდ უდიდესი გარჯის წყალობით მოვხვდი „შახტიორში“. გამიმართლა — ამ გუნდში დიდ ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივ მოთამაშეებს, თანაც მწვრთნელი შემხვდა ისეთი, რომ გამიგო და დამეხმარა — ვალერი იარემჩენკო. 17 წლის ვიყავი, როცა „შახტიორის“ ძირითად შემადგენლობაში დამაყენა.

● ***მერე კიევის „დინამოშიც“ მიგიწვიეს...***

— ეს ის ხანა იყო ვალერი ლობანოვსკი რომ დაბრუნდა კიევში. ძალიან ვღელავდი, სანამ მას შევხვდებოდი. ჩემთვის იგი ადამიანი-ლეგენდა იყო და მაშინ გავიფიქრე, თუ ამ ადამიანთან ვერ გავიხსენი როგორც ფეხბურთელი, საერთოდ, დავტოვებდი გუნდს.

● ***მაინც, რა შემატა თქვენს თამაშს ლობანოვსკიმ?***

— აბსოლუტურად ყველა ასპექტში მოვუმატე. არ მეგონა, ასეთ ფიზიკურ დატვირთვებს თუ გავუძლებდი, თანაც, უნივერსალად ჩამოვყალიბდი, მხოლოდ თავდასხმაში არ მიწევს მოქმედება. მოკლედ, რა ამოცანასაც დაგისახავს მწვრთნელი, ისე უნდა გაირჯე, წინააღმდეგ შემთხვევაში ლობანოვსკი სათადარიგო სკამზე გაგამწესებს.

● ***წლეულს „დინამომ“ მერვედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ყოველი გათამაშების წინ თითქმის ყველა ამბობს, რა აზრი აქვს ისეთ შეჯიბრებას, როცა, წინასწარაა ცნობილი ჩემპიონი. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოშიც, გუნდების შემცირებაზეც წავიდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ნაბიჯმა გაამართლა, — შიდა ჩემპიონატი გაცილებით დაძაბული და საინტერესო გამოდგა.***

— სამწუხაროდ, თქვენ პირველი არა ხართ, ამას რომ ამბობს. რა, სპეციალურად წავაგოთ მატჩები, რომ ეროვნულ ჩემპიონატს დაძაბულობა შეემატოს? ეს ძალიან სახიფათო პრეცედენტი იქნება, ასე გუნდი წაგებებს მიეჩვევა. **ვფიქრობ, თქვენთან, საქართველოში სწორი ნაბიჯი გადადგეს გუნდების რაოდენობა რომ შეამცირეს** (ხაზგასმა ჩვენია. რედ.). ასევე იქნება უკრაინაში, სადაც უმაღლეს ლიგაში 14 გუნდის იასპარეზებს. ისე, გამოგიტყდებით, ოცნებად მქონდა „ასიანთა კლუბში“ მოვხვედრილიყავი, მაგრამ ჩემი საზღვარგარეთ გამგზავრების გამო ამის მიღწევა შეუძლებელი ხდება.

● ***სერგეი, რამდენიმე დღეში ამ ინტერვიუს ქართველი გულშემატკივრები წაიკითხავენ და, ცხადია, მათ აინტერესებთ, რა აზრისა ხართ კახი კალაძესა და გიორგი დემეტრაძეზე.***

— ბრწყინვალე ბიჭები არიან, ნამდვილი ვაჟკაცები. კარგად მახსოვს კახი კალაძის ჩამოსვლა კიევში. გუშინდელი იუნიორი ზედმიწევნით ზრდილი, პატიოსნების განსახიერება იყო. ახლა შრომისმოყვარეობას არ იკითხავთ — ვარჯიშებზე პირველი მოდიოდა და ყველაზე ბოლოს მიდიოდა. ასეთმა თავდადებამ შედეგი გამოიღო, თანაც თანაგუნდელები დავეხმარეთ, ზოგიერთი ეშმაკობებიც შევასწავლეთ. დღეს კიეველთა გუნდი კალაძის გარეშე წარმოუდგენელია, თანაც ნუ დაგავიწყდებათ მისი უნივერსალური თვისებები. კახის ხომ ერთნაირი სიძლიერით შეუძლია ითამაშოს როგორც დაცვაში, ისე ნახევარდაცვაში, ხოლო კუთხურების ჩამოწოდებისას სახიფათოა შეტევაშიც.

● ***რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი არ იყოს, კალაძის შეძენის სურვილი ჰქონდა იტალიურ „მილანს“.***

— კი, მეც მსმენია ამის შესახებ, მაგრამ არაოფიციალურად, ჭორის დონეზე. სჯობს ამ საკითხზე გრიგორი სურკისს მიმართოთ.

● ***დემეტრაძეზეც თქვით ორიოდე სიტყვა...***

— გიორგიზე ლაპარაკი უსასრულოდ შეიძლება. იგი რაღაც ნახევარი წელია, რაც კიევშია და უკვე მოასწრო უკრაინელი გულშემატკივრის გულის მონადირება. როდესაც სურკისმა ინგლისში გადასვლა შემომთავაზა, ცხადია, ჩემს შემცვლელზე ვილაპარაკეთ. ჩვენი საერთო აზრია — „დემე“ არაფრით ჩამომივარდება და გუნდისთვის უმტკივნეულოდ შემცვლის. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ტექნიკური, იმპროვიზაციის დიდი უნარით დაჯილდოებული თავდამსხმელი კიევის „დინამოს“ დიდი ხანია არ ჰყოლია.

● ***ვის შეუწყვილებს მას ლობანოვსკი?***

— აქაც ერთიანი აზრი გაგვაჩნია — უზბეკეთის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი შაცკიხი არის სწორედ ისეთი მოთამაშე, რომელიც გვერდში სჭირდება დემეტრაძეს — ორივენი ისეთი სწრაფები და „ჰაეროვანნი“ არიან, ისეთები, ასე რომ არ უყვართ მცველებს. მოკლედ, ამ ინტერნაციონალურ დუეტს ჩემპიონთა ლიგაში, ალბათ, ბადალი არ ეყოლება.

● ***ღმერთმა გისმინოთ. ცხადია, „დინამოს“ გულშემატკივრებსაც დააწყნარებდით.***

— „დინამოდან“ ჩემი წასვლის შესახებ რომ შეიტყვეს, რაღა თქმა უნდა, დალონდნენ, მაგრამ ყველგან, გულშემატკივრებთან შეხვედრებზე, მრავალრიცხოვან ინტერვიუებში იგივეს ვლაპარაკობ — დაწყნარდით, სანერვიულო არაფერი გაქვთ, გუნდში არიან ღირსეული მოთამაშეები, ჩემი და შევჩენკოს ღირსეული შემცვლელები.

● ***თქვენთან ინტერვიუსათვის რომ ვემზადებოდი, კოლეგებმა მითხრეს, ძალიან ჩაკეტილი ადამიანია და ძნელად აალაპარაკებო. საბედნიეროდ, ვხედავ, ასე არ არის. ცოტაც მოგვიყევით როგორია სერგეი რებროვი საფეხბურთო მინდვრის გარეთ.***

— არ დაგიმალავთ, ჩემი საფეხბურთო კარიერის დასაწყისში ჟურნალისტებთან ურთიერთობისას რაღაც დისკომფორტს ვგრძნობდი, საბედნიეროდ, თანდათან შევეჩვიეთ, ახლა ისე გაგიშინაურდით, მგონი, ზედმეტებში გადავდივარ.

● ***რასა ბრძანებთ...***

— მაშ, მოკლედ გეტყვით, ჩემი ჰობი რადიოა. მამაჩემმა შემაყვარა იგი, თუმცა, რაც უკანასკნელ ხანს ბავშვი შეგვეძინა, რადიომოყვარულობისთვის აღარ მცალია.

● ***გასაოცარ ამბებს ყვებიან იმის შესახებ თუ როგორ დაქორწინდით.***

— ლიუდმილა მხოლოდ ოთხი დღის გაცნობილი მყავდა, როცა მოვკიდე ხელი და ჩემთან წამოვიყვანე. დიდი ხანი რეგისტრაციის გარეშე ვცხოვრობდით. მერე თანაგუნდელები შემიჩნდნენ, ჩვენ გადავიხდით ქორწილსო. მართლაც, ერთ დღეს „დინამოს“ კლუბის ბაზაზე ისეთი მამაპაპური პურ-მარილი გაიშალა, ახლაც იხსენებენ. მთელი ღამე „ვიგულავეთ“, ცხადია, ყველაფერი მწვრთნელებთან შეთანხმებით მოხდა.

* * *

კიდევ დიდხანს ვილაპარაკეთ, ბოლოს გულდაწყვეტით ესლა თქვა: „ძალიან მიმძიმს ბიჭებთან განშორება, მაგრამ იმის იმედი მაქვს, რომ უკრაინის ეროვნულ ნაკრებში გამოძახებისას მექნება შესაძლებლობა მოვინახულო თანაგუნდელები. იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ერთ დროს ერთად მოთამაშე ფეხბურთელები შეიძლება განგებამ მეტოქეებადაც გვაქციოს, ვთქვათ, იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის ნაკრები საქართველოსთან ერთ შესარჩევ ჯგუფში მოხვდა. ისე, სჯობს, რასაკვირველია, ორივე ნაკრები ერთმანეთის პირისპირ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე შეხვდეს, 2002 წელს, კორეა-იაპონიაში“.

ღმერთმა გისმინოს, სერგეი!



კიევის „დინამო“ რვაგზის ჩემპიონია! ფოტოზე მარცხნივ დემეტრაძე და კალაძეა აღბეჭდილი.

## იდეების უქონლობა. პერსონალური გადაწყვეტილებების სიმცდარე

როგორც გერმანელი მიმომხილველები ფიქრობენ, 60 წლის ერიხ რიბეკი პენსიაზე გავიდა, შემდეგ ნაკრების სათავეში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაეყენებინათ. თორემ რა გამოვიდა: ნაკრებს სათამაშო იდეები არ აღმოაჩნდა, ის პერსონალური გადაწყვეტილებები კი, რომელიც რიბეკმა მიიღო, ყველა მცდარი აღმოჩნდა.

## ლიბერტადორესის თასი — «ბოკა ხუნიორსს»

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის — „კოპა ლიბერტადორესის“ ფინალში გავიდნენ ბრაზილიური „პალმეირასი“ (სან-პაულუ) და არგენტინული „ბოკა ხუნიორსი“ (ბუენოს-აირესი).

პირველი მატჩი სან-პაულუში, ფრედ — 2-2 დამთავრდა. ასეთივე ფრე — 0-0 აღინიშნა ბუენოს-აირესში. პენალტების სერია უკეთესად „ბოკა ხუნიორსმა“ შეასრულა 4-2 და თასიც მას მიეკუთვნა.

## ფრანგები იძენენ მოთამაშეებს

ახალი სეზონის წინ წამყვანი ფრანგული კლუბები ფულს არ იშურებენ ახალი მოთამაშეების შესაძენად.

● ბევრი ცვლილებაა „ლიონში“, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა მოელის. მწვრთნელ ბერნარ ლიაკომბის ნაცვლად, რომელმაც კლუბის მესვეურების აზრით, ვერ გაამართლა იმედები, მოწვეულია დომინიკ კიუპერლი (გი რუს ყოფილი თანაშემწე „ოსერში“), რომელსაც დაეხმარება წარსულში საფრანგეთის ნაკრების ცნობილი მეკარე ფოლ ბატსი. მოწვეული არიან შვეიცარიელი პატრიკ მიულერი (იგი ტურინის „იუვენტუსში“ ირიცხებოდა) და კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოე (ლონდონის „ვესტ ჰემიდან“). გარდა ამისა, სხვადასხვა ფრანგული კლუბიდან გადმოვიდა კიდევ რამდენიმე მოთამაშე. როგორც „ლიონის“ პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლასმა განაცხადა, მწვრთნელები კიდევ მიიღებენ 30 მილიონ დოლარს მოთამაშეების შესაძენად.

● „სენტ-ეტიენი“ ცდილობს შეინარჩუნოს ბრაზილიელი თავდამსხმელი ალექსი, რომელმაც გასულ ჩემპიონატში 15 გოლი გაიტანა და ახლა სხვადასხვა კლუბი ეპატიჟება. თუ მას უკეთეს კონტრაქტს არ შესთავაზებენ, ალექსი დატოვებს გუნდს. „სენტ-ეტიენი“ აშკარად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც იქ ჩაირიცხა პეტერბურგის „ზენიტისა“ და სომხეთის ნაკრების ცნობილი მეკარე ბერეზოვსკი და თავდამსხმელი პანოვი.

● დიდი ცვლილებები არ უნდა მოხდეს „ბორდოში“, რომლის დატოვებას აპირებს ნაკრების (მესამე) მეკარე ულრიშ რამე. მას ერთბაშად ოთხი კლუბი (მადრიდის „რეალი“, „პარი სენ-ჟერმენი“, „არსენალი“, „მონაკო“) ეპატიჟება. გუნდის დატოვებას პავონი და ზიანიც აპირებენ. „ბორდო“, როგორც ჩანს, ფინანსურ გაჭირვებას განიცდის.

UEFA
EURO 2000
The Low Countries

# მოსახდენი მოხდა - კლასმა პური ჭამა!

## მატჩი №29. საფრანგეთი - პორტუგალია 1-1 დამ. დრ. 2-1

***საფრანგეთი:*** ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ, ვიეირა, დეშამპი, ზიდანი, პეტი (პირესი, 87), ანრი (ტრეზეგე, 105), ანელკა (ვილტორდი, 74).
***პორტუგალია:*** ვიტორ ბაია, აბელ შავიერი, ფერნანდო კოუტუ, ჟორჟე კოშტა, დიმაში (რუი ჟორჟე, 92), სერჟიუ კონსეისაუ, ვიდიგალი (ბენტუ, 62), რუი კოშტა (ჟოაუ პინტუ, 79), კოშტინია, ფიგუ, ნუნუ გომეში.
*გოლები:* 0-1 ნუნუ გომეში (18), 1-1 ანრი (52), 2-1 ზიდანი (117, პენ).
*გააფრთხილეს:* დესაი, ვიეირა, ვიდიგალი, ფიგუ, ჟორჟე კოშტა, დიმაში, ჟოაუ პინტუ.
*გააძევეს:* ნუნუ გომეში (117).
*მსაჯი:* გიუნტერ ბენკო (ავსტრია).





ფაბიენ ბარტეზი გამარჯვებას ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეოთხედფინალი. ბრიუსელი

„ოქროს გოლის“ წესის მომგონს რა ვუთხრათ, ეს გარემოება რომ არა, ჩემპიონატის ერთ-ერთი საინტერესო მატჩის ხილვით ტკბობა კიდევ გაგვიხანგრძლივდებოდა და, იქნებ, საბოლოო შედეგიც მითქმა-მოთქმის საბაბად არ ქცეულიყო. თუმცა, დამნაშავენი მაინც თავად დამარცხებულები არიან: ეჰ, აბდულშაჰილ, აბდულშაჰილ (ასე შეარქვეს პორტუგალიელთა ქერათმიან ზანგ მცველს აბელ შავიერის ქართველმა გულშემატკივრებმა), სანამ ვიტორ ბაიასგან მარცხენა ძელს მიუახლოვდებოდი, ხომ შეგეძლო ფრანგთა კარის ალება, შენი თავური ბარტეზმა სასწაულად მოიგერია, აფსუს, ცოტა უფრო მოჭრილად დაგერტყა, მეკარისგან მარცხნივ. თუმცა, რაც იყო, იმას ვეღარ დააბრუნებ. ახლა კი მთელ საფეხბურთო სამყაროს, სალაპარაკო მიეცა, უნდა დაენიშნა თუ არა გიუნტერ ბენკოს ის უმაღლესი სასჯელი, პენალტი რომ ჰქვია...

პირველი ტაიმი ძალიან ფრთხილი გამოდგა, ძირითადში, სათამაშო კლასით მჯობნი ფრანგები უტევდნენ, მეტოქე კი მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდა. ამ ტაქტიკამ თავდაპირველად პორტუგალიელების წისქვილზე დაასხა წყალი. მეორეც, ტაიმის ბოლომდე, მათი თამაში უფრო პერსპექტიული ჩანდა. ორივე გუნდში ლიდერები ბრწყინავდნენ: ზიდანიც და ფიგუც ბევრს მოძრაობდნენ და იუველირული სიზუსტით ამარაგებდნენ თანაგუნდელებს. მატჩის მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა, ფრანგთა შეტევებმა უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით აქტიურობდა მარჯვენა ფრთა, სადაც ტურამი, ანელკა და ანრი მოქმედებდნენ. სწორედ ამ ფეხბურთელების გათამაშებულმა კომბინაციამ გამოიღო შედეგი და ფრანგებმა ანგარიში გაათანაბრეს. ამის შემდეგაც სიტუაცია არ შეცვლილა, თუმცა, ყველაფერი მაინც დამატებით დროში გადაწყდა - 117-ე წუთზე, რომელზეც კიდევ დიდხანს იმსჯელებენ. ფრანგთა თავკაცი როჟე ლემერი ამ მომენტზე შეხვედრის შემდეგ ასე იტყვის: „ასეთ მომენტში პენალტს ბევრი მსაჯი არ დანიშნავდა - ბენკო წესების ერთგული დამცველი გამოდგა“. განბილებული უმბერტო კოელიუ კი გულისტკივილს ვერ ფარავდა: „ვილტორდმა ძალიან ახლოდან დაარტყა და აბელ შავიერმა ხელის გაწევა, ვაგლახ რომ ვერ მოასწრო. ასეთ შემთხვევაში არბიტრის განსასჯელია დანიშნოს თუ არა პენალტი. გული მწყდება, რომ მატჩის ბედი ასეთმა შემთხვევამ გადაწყვიტა,“ ეს თქვა და გასახდელისაკენ გაეშურა - ბიჭებს უნდა დავემშვიდობო, ნაკრებში ჩემი მუშაობა ამით დამთავრდაო. ასეთია მწვრთნელის ბედი, წლობით თავდაუზოგავად შრომობ, წვალობ და... ერთი ბრმა შემთხვევა ამდენ ნალვაწს წყალში გადაგიყრის.

## ამბები. ფაქტები

### რიჩარდ რაიტი — ბარტეზის მეტოქე

მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ფაბიენ ბარტეზი იყიდა, ფრანგი მსოფლიოში ყველაზე უფრო ძვირადღირებული მეკარე გახდა, მაგრამ ეს შეიძლება დროებითი აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელი ბობი რობსონი „იფსვიჩ თაუნიდან“ 21 წლის მეტად პერსპექტიულ მეკარე რიჩარდ რაიტის გადაბირებას ცდილობს. თუ ეს გარიგება შედგა, მაშინ ბარტეზის რეკორდი მოიხსნება.

### ოლივერ კანი: ეს თამაში კი არა, ნერვიული კრუნჩხვა იყო

განთქმულმა მეკარემ ოლივერ კანმა მეტად უარყოფითი შეფასება მისცა საკუთარი, გერმანიის ნაკრების თამაშს ევროპის პირველობაზე:

— ნაკრებს საკუთარი ძალების რწმენა არა ჰქონდა. ეს თამაში კი არა, ნერვიული კრუნჩხვა იყო.

### კარგ მადას გისურვებთ!

**ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ლეგენდარული იოჰან კრუიფი საკმაოდ დაბალი აზრისა იყო თავისი** მშობლიური, ჰოლანდიის ნაკრების თამაშზე და მწვრთნელ ფრანკ რაიკაარდსაც აკრიტიკებდა. კრუიფი დარწმუნებული იყო, რომ ჰოლანდიელები მეოთხედფინალში ვერ მოხვდებოდნენ, ხოლო ედგარ დავიდსზე ამბობდა:

— ეგ ფეხბურთელი უფრო მეტს „თამაშობს“ ენით, ვიდრე ფეხებით!“

— თუ ჰოლანდიელები მეოთხედფინალში გავლენ, მე მაშინ ასეთ რამეს გპირდებით, შევჭამ... შლიაპას!

ჰოლანდიელებმა კრუიფი გააწბილეს და... კარგი მადა უსურვეს!

### დოპინგ-კონტროლი... ნოლი პროცენტი!

ისევე, როგორც ადრინდელ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებებზე, ევროპის ჩემპიონატშიც შემოღებული იყო სადოპინგო კონტროლი, რომელსაც პროფესორი სტიუარტ ჰილისი ხელმძღვანელობდა. მას 8 ხელქვეითი ჰყავდა, სადოპინგო შემოწმება კი 96-მა მოთამაშემ გაიარა. თითოეული მატჩის შემდეგ მეტოქეთა ორ-ორ ფეხბურთელს ამოწმებდნენ, შემდეგ კი გამოკვლევა კიოლნისა და გენტის ლაბორატორიებში სწარმოებდა. ასეთმა შემოწმებებმა დოპინგის მიღების ერთი შემთხვევაც კი ვერ აღმოაჩინეს!

### მწვრთნელი ისე დაახასიათა, რომ...

**... ინგლისის ნაკრებს ახლა უკვე აღარავინ მიაკარებს. აი რა თქვა მცველმა მარტინ კოიუნმა მას შემდეგ, რაც ინგლისელები სამშობლოში დაბრუნდნენ:**

**— სულ ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ, რა უნდოდა ჩვენგან, ნაკრების მოთამაშეებისაგან მწვრთნელ კიგანს.**

### რობერტო კარლოსმა ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო

განთქმულმა ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო. ეს, ცხადია, შეღავათია მადრიდის „რეალისათვის“, რომელსაც უცხოელების ლიმიტი გაეზარდა და შეუძლია კიდევ ერთი საჭირო მოთამაშე მიიწვიოს.

რაც შეეხება ნაკრებში თამაშს, აქ, ცხადია, რაიმე ცვლილება არ მოხდება. არსებული დებულებით, რობერტო კარლოსს კვლავინდებურად მხოლოდ ბრაზილიის ნაკრებში შეუძლია თამაში.

### ვან ჰოეიდონკი ჟოაო პინტუს ნაცვლად

**ჟოაო პინტუმ ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის შემდეგ იმდენი** კლუბიდან მიიღო მიწვევა, რომ საქმე ასარჩევად აქვს. ერთი რამ ცხადია — იგი არავითარ შემთხვევაში ლისაბონის „ბენფიკაში“ აღარ დარჩება.

პორტუგალიური კლუბი ამასთან შეგუებულიც იყო. ამიტომ მან „ვიტესისაგან“ 6,5 მილიონ დოლარად შეიძინა ჰოლანდიის ჩემპიონატის მეორე სნაიპერი პიერ ვან ჰოეიდონკი.

### ხულიგნების რიცხვი — 1301

საფეხბურთო ხულიგნების ასეთი რიცხვი მეტისმეტად დიდია თუნდაც ისეთი მასშტაბური შეჯიბრებისათვის, როგორიც ევროპის პირველობაა. თანაც, ლაპარაკია იმ დაკავებულ ადამიანებზე, რომლებმაც წესრიგი მხოლოდ ბელგიის ტერიტორიაზე დაარღვიეს. მათი დიდი ნაწილი დაპატიმრების დროს ძლიერ მთვრალი იყო და ხელისუფლების წარმომადგენლებს წინააღმდეგობაც გაუწია. მანამდე კი, მათ ვანდალური აქტები ჩაიდინეს და მასობრივ არეულობებშიც მიიღეს მონაწილეობა.

### ვის მიიწვევენ რიბექის ნაცვლად?

**ვინ იქნება ახალი ბუნდესტრენერი? ახლა ყველაზე ხშირად ოტმარ ჰითცფელდს ასახელებენ. გარდა ამისა, განიხილავენ კიდევ ორ კანდიდატურას: იტალიელ ჯოვანი ტრაპატონის, რო**მელსაც სიბერეში ძალიან მოეწონა გერმანია და იუპ ჰაინკესს. ჰაინკესს ადრეც იწვევდნენ, მაგრამ მან უარი განაცხადა ცოლის ავადმყოფობის გამო. ასახელებენ მოქმედ ფეხბურთელს — ლოთარ მათეუსს და „ბაიერის“ (ლევერკუზენი) ახლანდელ ხელმძღვანელ კრისტოფერ დაუმს.

ბუნდესტრენერი, ეტყობა, საკმაოდ მალე დაინიშნება — 16 აგვისტოს ნაკრებს ამხანაგური მატჩი აქვს ესპანეთთან.

### იმ მაყურებლებს ჰგავდნენ, სტადიონზე უბილეთოდ რომ შედიან

გერმანიის ნაკრების (ჯერ კიდევ) მთავარმა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა ასე დაახასიათა თავისი გუნდის თამაში:

— ჩემი მოთამაშეები იმ მაყურებლებს ჰგავდნენ, სტადიონზე უბილეთოდ რომ შედიან. თუმცა, ასეთი სანახაობისათვის ფული ყველასათვის უნდა გადაეხდევინებინათ, მათ შორის ჩემთვისაც.

## გერმანიის ნაკრების ლოგიკური აღსასრული

გერმანიის ნაკრების მზის ჩასვენება 1998 წელს დაიწყო, როცა მან მსოფლიო პირველობაზე საფრანგეთში ხორვატებთან წააგო — 0-3. მას ახლა ახალი იდეები, ახალი ძალები, ახალი ლიდერები სჭირდებოდა. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა — ევროპის ჩემპიონის წოდების შესანარჩუნებლად გაემგზავრნენ „მოხუცები“ — 39 წლის მათეუსი, 34 წლის ჰესლერი, 35 წლის კირსტენი, 32 წლის ბირჰოფი. თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ საჯაროდ განაცხადა იერემისმა, რისთვისაც მწვრთნელ რიბეკის რისხვა დაიმსახურა, ნაკრები დაატოვებინეს, თუმცა შემდეგ მაინც აღადგინეს.

მარცხისათვის მთელი პასუხისმგებლობა რიბეკს დაეკისრა და მან ეს მთლიანად აღიარა, თუმცა „განსასჯელის“ საბოლოო სიტყვა მაინც, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი იყო: „მე თვითონ ვარჩევ მოთამაშეებს, თვითონ ვამზადებ მათ მატჩებისათვის. სამწუხაროდ, მაინც ვერ შევქმენი გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელებისაგან ბრძოლისუნარიანი ნაკრები, თუმცა ამ მოთამაშეების პროფესიონალიზმი ეჭვს არ იწვევს“.

საქმე ის არის, რომ მარტო რიბეკი კი არ იყო კარგი აზრისა, გერმანიის ნაკრების მოთამაშეებზე, არამედ ამ ქვეყნის სხვა წამყვანი ექსპერტებიც, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, უკეთეს შედეგებს მოელოდნენ. როგორც ერთმა ჟურნალისტმა მოსწრებულად შენიშნა, ისინი ამ მოთამაშეებს უყურებდნენ „1996 წლის თვალით“, როცა გერმანელები ევროპის ჩემპიონები გახდნენ, თითქოს განვლილ ოთხ წელს ფეხბურთში მნიშვნელობა არა აქვს.

გერმანელებს მეტოქისადმი პირდაპირ შეტევისა და დამუშავებული, ავტომატიზმამდე [illegible]ყვანილი კომბინაციების იმედი ჰქონდათ, მეტოქეები არაფრით გაუკვირვებიათ, არც ექსპრომტისათვის მიუმართიათ და არც იმპროვიზაციისათვის (რაც არა აქვთ, არა აქვთ!). თვითონაც ბევრ არაფერს წარმოადგენდა და ესპანელთა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ გერმანელებზე კი სამართლიანად თქვა: „გერმანელებს არ შეუძლიათ კომბინაციების გათამაშება, „კედელსაც“ კი ვერ გაითამაშებენ და საერთოდ, მთლიანად ეს გერმანული ფეხბურთი გახლავთ ალიაქოთი, ალიაქოთი და კიდევ ერთხელ ალიაქოთი“. ძალზე შეუბრალებელი დახასიათებაა, მაგრამ რამდენად სამართლიანია, ამაზე თვით მკითხველმა იმსჯელოს.

ჰოლანდიური გაზეთი „ფოლკსკრანტი“ იმეორებს ბევრი ექსპერტის აზრს, რომ მწვრთნელი რიბეკი ტყუილად ენდო „ჩამქრალ ვარსკვლავებს“, ისეთებს, როგორიც მათეუსი ან ჰესლერია. გაზეთის მიმომხილველმა გერმანულ ფეხბურთში შექმნილი სიტუაცია პოლიტიკურს დაუკავშირა და აღნიშნა, რომ თუ სხვა ქვეყნებში ყველა სფეროში მიმდინარეობს მუდმივი განახლება, მოდერნიზაცია, რომელთანაც, ცხადია, დაკავშირებულია წინსვლა, გერმანიაში ჯერ კიდევ ძველი იდეებია გაბატონებული. ასეთი სამარცხვინო მარცხიც სწორედ ამან გამოიწვია — გერმანული ფეხბურთი აშკარად დახავსდა.

საინტერესოა, რომ გაზეთმა „ბილდმა“ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებს „ევროპული ფეხბურთის იდიოტები“ უწოდა.



## EURO-2000 ტელეეკრანზე

**30 ივნისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ნახევარფინალური მატჩი, განმეორებით (15.15), ***НТВ плюс футбол.*** ნახევარფინალური მატჩი (13.15), ***EUROSPORT.*** მატჩები და მიმოხილვა (7.00, 10.15, 15.30, 20.30, 4.00).

**1 ივლისი, შაბათი**

***EUROSPORT.*** მატჩები და მიმოხილვა (7.00, 10.15, 14.00, 15.00, 4.00).

**2 ივლისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ევრო-2000-ის ფინალური მატჩი (22.50), ***НТВ плюс футбол.*** ნახევარფინალური მატჩები, განმეორებით (15.45, 18.45), მატჩები და მიმოხილვა (7.00, 10.15, 2. 15), ***ОРТ (1).*** ფინალური მატჩი, პირდაპირი რეპორტაჟი (22.55), ***EUROSPORT.*** მატჩები და მიმოხილვა (7.00, 10.15, 21.30, 2.15).

## გამოხმაურება იური იმერლიშვილის წერილზე: „ალავერდის წმინდა ტაძარს მაინც დავუჯეროთ“



„ლელო“ №42, 2000 წ.

# კოვზმა რა იცის, საცივის გემო...

1950 წელს ძერჟინსკის კლუბში ქართული ტანსაცმლის ესკიზების გამოფენა გაიმართა, რომელზედაც ქართული ჭიდაობის ჩოხებიც იყო წარმოდგენილი. განხილვა-დამტკიცებაზე, როგორც ჩემთვის მეორე დღეს გახდა ცნობილი, ქართული ჭიდაობის სწორუპოვარი ქომაგი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველიც მიუწვევიათ. ის მაშინ უნივერსიტეტის რექტორი იყო. იმ მეორე დღეს, ზემოთ, რომ ვახსენე, მითხრეს რექტორი გეძახისო. შევცბი, ნუთუ რამე დავაშავე, გავიფიქრე. შევედი კაბინეტში და რას ვხედავ, რექტორს მაგიდაზე გაუშლია თავისივე ხელით დახატული ქართული ჭიდაობის ჩოხის ესკიზები. „გუშინ ესკიზების დამტკიცებაზე ვიყავი, შენ ვერ მოგძებნე“ – მეუბნება.

შემეკითხა: „ჩოხები ერთობ მოკლეა, ტრუსებიც, ჩოხები ხშირად თავზე წამოეჩაჩებათ ხომლე მოჭიდავეებს, ეს ხარვეზი როგორ აღმოვფხვრათ... დიდხანს ვისაუბრეთ, ბევრი ვარიანტი განვიხილეთ. მე ავუხსენი თუ რატომ უნდა ყოფილიყო მოჭიდავის ჩასაცმელი ისეთი, როგორიც დღეს არის. შემდეგაც ხშირად მიხდებოდა ბატონ ნიკოსთან სტუმრობა ტერმინოლოგიის დასადგენად. ერთხელ მისი ყურადღება მიიპყრო ტერმინმა „ჩოხის ყურები“, რატომ „ჩოხის ყურები“, ჩოხას სახელოები ხომ აქვს?“ არა, ბატონო ნიკო, – ვუთხარი, ქართული ჭიდაობის ჩოხას სახელოები არ აქვს“. სახელოები რომ ჰქონდეს, მოგვერდი, მკვლავჩაკეტილი მოგვერდი, კისრული, შუაკაური, გარეკაური და სხვა ლამაზი ფანდები ველარ შესრულდებოდა, „ჩოხის ყურები“ ქოთნის ყურივითაა“. გაიცინა: „კარგია, უსახელებო ჩოხა, ე.ი. ყურებიანი ჩოხა“...

აქვე დავძენ, რომ სახელოიან ჩოხას, ყურებიანი ანუ მოკლე სახელოებიანი ჩოხისგან განსხვავებით, ხელი მტკიცედ არ ეჭიდება, გაკვრისთანავე სხლტდება და ფანდების ჩატარება აღარ ხერხდება.

დააკვირდით, სამბოში და ძიუდოში 2-3 წუთი ისე გაივლის, მეტოქეები ხელს ვერ ავლებენ ერთმანეთს და პაექრობა ულიმღამოა. ქართული, მოკლემკლავიანი ჩოხა კი სწრაფად ხელის ჩავლებისა და ელვისებურად ილეთის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

მე არ ვეთანხმები იმათ მოსაზრებას, ვინც მხარს უჭერს ქართული ჭიდაობის ჩოხის სახელოების დაგრძელებას და შარვლით ჭიდაობას. ამავე აზრისანი არიან ჩვენი თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის ფალავნები, არც მათ მიაჩნიათ მიზანშეწონილად ქართულ ჭიდაობაში შემოვიტანოთ სამბოსა და ძიუდოს ფორმის ჩასაცმელი. ქართული ჭიდაობის ფორმის და წემუნებული ვარ, იაპონელები, ჩვენ კიდეც რომ გავბრიყვდეთ და მართლა შევცვალოთ ჩოხის ზომები, ილეთების შესწავლას ისევ „ძველი“ სამოსის მიხედვით გააგრძელებენ.

საქართველოში ბოლო ხანებში დაინერგა უზბეკური ჭიდაობა კურაში. მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რაკი კურაში მალე გავა საერთაშორისო არენაზე, ქართული ჩოხის დაგრძელება იმიტომაც გვინდა, რომ უზბეკური ჭიდაობის ჩოხა სამბოსას და ძიუდოსას ჰგავს სტილით. გამოდის, რომ ნაცვლად იმისა, თავად ვიბრძოლოთ მსოფლიოში ქართული ჭიდაობის გასატანად, უცხოურს ვემონებით და ამას ვაკეთებთ ჩვენი ეროვნული საუნჯის საზიანოდ, საკუთარი ხელით გვინდა გამოვუტანოთ მას სასიკვდილო განაჩენი.

ქართული ჭიდაობის წესები, ფორმა და მუსიკა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში დაადგინა ავტორიტეტულმა კომისიამ და მისი მიხედვით 1927 წლიდან საქართველოს ჩემპიონატებიც ტარდება. ძალიან საეჭვოა, ახლა რატომ დადგა დღის წესრიგში ერთხელ დადგენილის და აპრობირებულის გადასინჯვისა და შეცვლის საკითხი?



იმის მომიზესების რა ბრალია თუ სამბოსა და ძიუდოში სპეციალისტები სრულად ვერ იყენებენ ჩვენი ეროვნული საუნჯის მრავალფეროვანად მდიდარ ილეთებს. როგორც საცივში ჩავარდნილმა კოვზმა არ იცის საცივის გემო, ისე სამბოს და ძიუდოს სპეციალისტებმა ბოლომდე არ იციან ქართული ჭიდაობის ტექნიკური არსენალის გემო და მადლი. თუ იაპონელები ფირზე იღებენ, აანალიზებენ და სწავლობენ ქართულ ჭიდაობას ისე, როგორც არის და ფორმის შეცვლა აზრადაც არ მოსდით, ჩვენ რაღა გვემართება. როგორ, შევცვალოთ ჩასაცმლი, მოვახდინოთ მისი უაზრო მოდერნიზება და უიარაღოდ დავრჩეთ მეტოქეებთან? დარწმუნებით, რომ ჩოხა ხშირად იხევა, ტრადიციის უარყოფა როგორ შეიძლება. ჩოხა მატერიაა, მისი გამძლეობის მიღწევა ტექნოლოგიური სრულყოფით ალბათ შესაძლებელია, ნაჭრის სისუსტის მოშველიება არგუმენტად, პირადად მე სასაცილოდ მეჩვენება. ბოლოს და ბოლოს ჩოხის მოკლე სახელოების და ბოლოების გასამმაგება და გაათმაგებაც ხომ შეიძლება, რათა უფრო გამძლე გახდეს იგი. ვიმეორებ, ჩოხის „ყურები“, მათში ხელის ჩავლება მეტოქეებს მრავალი ლამაზი ილეთის ჩატარების შესაძლებლობას აძლევს.

რაც შეეხება ალავერდის წმინდა ტაძარზე ჭიდაობის ამსახველ ფრესკას. ჯერ ერთი – ეს ფრესკა არა მგონია ქართული ჭიდაობის პოპულარობისთვის იყოს ტაძრის კედელზე გამოტანილი. ნუ დაგვავიწყდება, რომ იქვე სხვა ფრესკებიცაა და იქნებ კომპლექსშია ისინი განსახილველი. იქნებ მასში სულ სხვა შინაარსია ჩაქსოვილი. მეორე ფრესკა შესრულებულია XI საუკუნეში, განა შეიძლება წარსულში ასე ხელაღებით დაბრუნება? ხომ იყო საუკუნეები, როცა ქართველ ქალს რომ ფეხის კოჭი ან შიშველი მკლავი გამოსჩენოდა, უდიდესი სირცხვილი იყო, იძრახებოდა უთავსაბურავო და უულვაშო მამაკაცი. არც ფოლკლორი გაყინულა ერთ ადგილზე. ყველაფერი ხალხური ხომ ჟამთა მსვლელობაში იხვეწება და მდიდრდება, თავის სახეს სრულყოფს. ახლა კი მავანს სურს ეს ჩვენი ეროვნული სიამაყე სამბოს, ძიუდოს და კურაშის ნაზავად აქციოს, როცა პირიქით, ეს უცხოური სახეობები ქართული ჭიდაობის ფანდებით იმდიდრებენ თავის არსენალს? დავფიქრდეთ, მანდ, წყევლა-კრულვით მოსაგონარი გამოუსწორებელი შეცდომა არ დავუშვათ.

**სიმონ მაისურაძე**

# ეროვნულიდან საკაცობრიომდე

ეროვნულ ტრადიციებს რომ შენახვა და მოვლა სჭირდება, იაპონელებზე კარგად არავინ იცის და ამას მათზე უკეთ სხვა ვერც ვერავინ ახერხებს. სწორედ ამიტომაც შეინარჩუნა ამ ხალხმა დღევანდელი გამაოგნებელი ცივილზაციის პირობებში საკუთარი თვითმყოფადი კულტურა და ის დიდი ტრადიციები, რაც საუკუნეების სიღრმიდან მოსდევთ.

ამგვარი სათუთი დამოკიდებულების შედეგი გახლავთ ის, რომ ძიუდო სპორტის ოლიმპიურ სახეობად იქცა, ხოლო უძველესი და უმშვენიერესი ჭიდაობა „სუმო“ ბოლო ხანებში გვარიანად გასცდა იაპონიის საზღვრებს.

გახსოვთ, ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ, როგორ ოცნებობდნენ ქართული ჭიდაობის გულშემატკივრები და სპეციალისტები, სპორტის ეს ჩვენი ეროვნული სახეობა როგორმე საერთაშორისო ასპარეზზე რომ გაეტანათ, მაგრამ ოცნება ოცნებად რჩება. საერთაშორისო ასპარეზს ვინღა ჩივის, ამ ბოლო დროს ქართული ჭიდაობა ისეთ დღეში ჩავარდა, ლამის არის აქაც, საქართველოშიც კი, ხელიდან გამოგვეცალოს.

ცალკეული ენთუზიასტები რომ არა, ასეც მოხდებოდა და ეს უნიკალური უძველესი ქართული კულტურის ორგანული და განუყოფელი ნაწილი აქამდე დავიწყებას მიეცემოდა.

სწორედ ასეთი მოღვაწეების, ასეთი ენთუზიასტების მსჯელობის საგანი გამხდარა დღეს ქართველი მოჭიდავის ტანსაცმელი. ლაპარაკია იმაზე, რომ ქართულმა ჭიდაობამ უნდა დაიბრუნოს ტრადიციული სახელოიანი გრძელი ჩოხა და შარვალი. იქნებ ვინმე შეგვედავოს — თქვე კაი ხალხო, ამ დუხჭირ ცხოვრებაში რა დროს მოჭიდავის ტანსაცმელიაო, მაგრამ ასეთებს უთუოდ უნდა გავახსენოთ იაპონელები და ის დიდი ღვაწლი, რაც მათ საკუთარი ტრადიციების შენახვითა და გაფრთხილებით საკაცობრიო კულტურას დასდევს.

**ნუგზარ შატაიძე**

## ? შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** ამას წინათ, თქვენს გაზეთში ჩამოთვლილი იყო ვის რამდენი საქართველოს ფალავანი ჰყავს ქართულ ჭიდაობაში ჩვენი ქალაქებიდან და რაიონებიდან. იქ ნახსენები იყო, რომ ერთი ფალავანი ჰყავს ზესტაფონს. ხომ არ დაგვისახელებდით მის ვინაობას და რომელ წელს გახდა იგი ფალავანი?

*მერაბ კიკნაველიძე, ზესტაფონი.*

**პასუხი:** დიახ, ზესტაფონს ნამდვილად ჰყავდა საქართველოს ფალავანი ქართულ ჭიდაობაში, ეს იყო გიორგი გაჩეჩილაძე, რომელიც აბსოლუტურ წონაში (ფალავნობა მხოლოდ ამ წონაში ტარდება) გახდა უძლიერესი. ეს მოხდა ამ 10 წლის წინათ – 1990 წელს.

# უიმბლდონი თავისი ფავორიტებით

უიმბლდონის ტურნირის ორგანიზატორები მონაწილეთა „ბადეს“ რომ ადგენდნენ, ცხადია, თადარიგი დაიჭირეს და ისე გათვალეს, რომ მისი ზედა და ქვედა ნაწილები დაახლოებით თანაბარი ყოფილიყო. მსოფლიოს ორი უძლიერესი ქალი: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და ოლიმპიური ჩემპიონი ლინდსეი დევენპორტი (აშშ) ისე დააშორეს ერთმანეთს, რომ მხოლოდ (თუ იქამდე მიაღწიეს, რა თქმა უნდა) ფინალურ მატჩში მოუხდებათ შეხვედრა. მათი ყოველი შეხვედრა ნებისმიერ შეჯიბრებას უფრო ამშვენებს. ჰინგისს უკეთესი რეიტინგი კი აქვს, მაგრამ აქამდელ პირად მატჩებში უპირატესობა დევენპორტის მხარეზეა: ჰინგისი მან 11-ჯერ დაამარცხა, თვით კი 8-ჯერ წააგო. ეს ისე, სტატისტიკის მოყვარულთათვის, თორემ ახლა, ექსპერტების აზრით შვეიცარიელის საბრძოლო მზადყოფნა გაცილებით უფრო მაღალია.

წინასწარი შეფასებით, პირველი სერიოზული მეტოქე ჰინგისს შეიძლება მხოლოდ მესამე წრეში შეხვდეს — ახალგაზრდა ხორვატი ლიუჩიჩი. შემდეგ რაუნდებში მარტინას უფრო სერიოზული მეტოქეები ეყოლება: ანკე ჰუბერი (გერმანია), ვენუს უილიამსი (თუმცა ამერიკელის საბრძოლო მზადყოფნა ამჟამად არ არის მაინცდამაინც სახარბიელო, ყოველ შემთხვევაში, შარშანდელზე უარესია) და მაინც სხვებზე მეტად კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი). „ბადის“ ზემო ნაწილში არიან აგრეთვე ჟიული ალარი (საფრანგეთი) და ლიზი რეიმონდი.

ახლა, ვინ შეიძლება იყოს დევენპორტის მეტოქე. ესენია, უპირველეს ყოვლისა, შესაძლოა დღეისათვის მსოფლიოში სიძლიერით მესამე ჩოგბურთელი მერი პირსი (საფრანგეთი), კიდევ ერთი ფრანგი ნატალი ტოზია და თავის დროზე მსოფლიოში პირველი მონიკა სელეში (აშშ, ეროვნებით უნგრელი, იუგოსლავიის ყოფილი მოქალაქე). აქვე გასათვალისწინებელია სერენა უილიამსისა (აშშ) და ამანდა კეცერის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ძალაც.

როგორც მიმომხილველები ასკვნიან, ჰინგისი და დევენპორტი უკვე ფიქრობენ თავიანთი მომავალ ფინალურ მატჩზე. ჰინგისი: „ლინდსეი ყველაზე უფრო თანმიმდევრული ჩოგბურთელია მსოფლიოში. იცის, როგორ უნდა „მოკლას“ კორტზე მეტოქე. სხვანაირად ვერ ვუწოდებ იმას, რაც გამიკეთა წელს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალურ მატჩში“. დევენპორტი: „ზოგჯერ თავს უძლეველად ვგრძნობ. ეს იმ დროს ხდება, როცა ყველაფერი ძალიან იოლად გამომდის“. ოლიმპიური ჩემპიონის ბოლო გამოსვლებზე, ეს, ცხადია, არ ითქმის.

ვაჟთა შორის, თუ რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მოხდა, ელიან პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის მძაფრ ბრძოლას, ამასთან, წინასწარ უპირატესობას სამპრასს ანიჭებენ. მათი დაპირისპირება ჯერ კიდევ ჭაბუკობისას დაიწყო. ისიც საინტერესოა, რომ ამერიკელი ჩოგბურთელები ერთმანეთს დღემდე 29-ჯერ შეხვდნენ. აქედან სამპრასმა მოიგო 17, აგასიმ კი 12 მატჩი. აგასიმ წელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატში შეძლო მუდმივი მეტოქის დამარცხება, მაგრამ სამპრასს ანდრე ორჯერ სწორედ უიმბლდონში ჰყავს დამარცხებული.

თუ ყველაფერი „ნორმალურად განვითარდა“, სამპრასს პირველი სახიფათო მეტოქე შეიძლება მეოთხედფინალში შეხვდეს. ეს იქნება მეცხრე ნომრად განთესილი გამოცდილი შვედი ოსტატი თომას ენკვისტი, შესაძლოა, ნახევარფინალში სამპრასს ჩეხი ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი დაუპირისპირდეს. იგი ერთადერთია, ვინც 1994 წლიდან მოყოლებული, შეძლო უიმბლდონში სამპრასის დამარცხება, რომელიც „ბალახის“ უბადლო ოსტატად ითვლება.

თითქოს არც ანდრე აგასი უნდა იყოს „ბადით“ უკმაყოფილო. მასაც რაიმე ხიფათი არ უნდა მოელოდეს მეოთხეფინალამდე, სადაც შეიძლება შეხვდეს ან მარკ ფილიპუსისს (ავსტრალია), ან ტიმ ჰენმანს (ინგლისი), ანდა, გორან ივანიშევიჩს (ხორვატია). თვით აგასი, როგორც ყოველთვის, ოპტიმისტურად არის განწყობილი, მისი ოჯახური მდგომარეობა მოწესრიგდა (თუმცა, შტეფი გრაფთან ქორწინებაზე აშკარად არც ერთი მხარე ლაპარაკობს, არც მეორე), ტრავმაც აღარ აწუხებს.

კეთილი და პატიოსანი, ფავორიტები ფავორიტებად რჩებიან, მაგრამ ყოველივე ეს ხომ ძირითადად ვარაუდების სფეროს მიეკუთვნება.

**ბიბი თორელი**

## ჭადრაკი

# ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი – ბუ

ოფიციალურად მას ბუ ქსანგჟის უწოდებენ. აქედან ბუ ძირითადი გვარია, ქსანგჟი კი მეორე, ასე ვთქვათ, ზედწოდება, რომელიც „მრავალ ბედნიერებას“ ნიშნავს. საჭადრაკო კარიერის დასაწყისმა ჩინელ ბუს, რომელიც ახლა მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატია, მართლაც „მრავალი ბედნიერება“ მოუტანა, შემდეგ კი როგორც იტყვიან, ვნახოთ...

ამას წინათ, ბუს შესახებ საინტერესო მასალა გამოაქვეყნა ბერლინის ჟურნალმა „შახმა“. როგორც ცნობილმა გერმანელმა ჟურნალისტმა სტეფან ლიოფლერმა განაცხადა, რომელიც ჩინელ ყმაწვილს ბლედში (სლოვენია) შეხვდა, მას ასე არასოდეს გასჭირვებია ინტერვიუს წაყვანა. საქმე ის არის, რომ ბუ არ ფლობს არც ერთ უცხო ენას, ასე, ასამდე ინგლისური სიტყვა იცის, რა თქმა უნდა, უფრო მეტის მნიშვნელობაც ესმის და როცა სიტყვები არა ჰყოფნის, შეუძლია ჟურნალისტს ბლოკნოტში რიცხვები ჩაუწეროს და რაღაცა მიახვედროს. ასე იყო თუ ისე, ლიოფლერმა ამ უცნაური დიდოსტატის შესახებ ცოტა რამ მაინც შეიტყო.

შეხვედრის დასაწყისში ჟურნალისტი დაინტერესდა, რატომ აცვია 14 წლის

იხ. მე-8 გვ.

# უკვე მესამედ მიგებული პატივი

*მეორე გვერდიდან*

კალაშნიკოვა და ნინო კალმახელიძე ითამაშებენ. მესამე პრიზიორი კი სოფიკო ქვაცაბიასა და ნინო ლაგვილავას შეხვედრის შემდეგ დასახელდება. 1990 წელს დაბადებულთა და მათზე უმცროსებში უკვე გამოვლინდა ***გამარჯვებული და პრიზიორები:*** 1. ეკა გიორგაძე, 2. თამარ საბანაძე, 3. სოფიკო შარანგია.

***ბიჭები: 1984-85 წ.*** აქ ფინალში ზურაბ ქვანია შეხვდება იური ხომერიკს, მესამე ადგილისათვის ბრძოლაში კი ედგარ სიმონიანმა დავით პაიჭაძეს აჯობა; ***1986-87 წ.*** 1. ლუკა ლეკვეიშვილი, 2. დავით პაიჭაძე, 3. სანდრო მურვანიძე (მოუგო ვახტანგ მიქელაძეს); ***1988-89 წ.*** 1. ლუკა სულაძე, 2. ბაჩუკი ხვედელიძე, 3. გიორგი ვანიშვილი (მოუგო კობა წაქაძეს); ***1990-91 წლიანებში*** ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან გოგი ვანიშვილი და ნუგზარ ბაგაური, მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ რეზო ოსაძე და გოგი ტატუნაშვილი; 1992-წლიანებში და უმცროსებში ადგილები ასე განაწილდა: 1. შოთა პაიჭაძე, 2. ირაკლი სალუქაშვილი, 3. გიორგი ხმიადაშვილი (აჯობა გიორგი ბექაურს). ზემოთ დასახელებული ყველა ჩოგბურთელი, გარდა ერთი ბათუმელისა (ანა ჯულელი) — თბილისელია. შეჯიბრება დღეს, 30 ივნისს დასრულდება.

**ც. ბაძრაძე**



# ამერიკელები ოლიმპიადა-2000-ზე

აშშ-ის კალათბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა ქვეყნის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების განრიგი. პირველი საწვრთნო თამაშების დაწყებამდე სამკვირიან შეკრებაზე გუნდი იაპონიის ქალაქ მაუიში 26 აგვისტოს შეიკრიბება. ნბა-ს ვარსკვლავები ყოველდღიურ ორჯერად ვარჯიშს ჩაატარებენ, გამართავენ საკონტროლო მატჩებსაც: 31 აგვისტოს — კანადის ეროვნულ გუნდთან, შემდეგ გამოვა საიტამის ტურნირში, სადაც 5 სექტემბერს ესპანელებს შეხვდება. 6-ში კი — იაპონელებს. ამის შემდეგ ჩავა ავსტრალიაში, 9 სექტემბერს ამ ქვეყნის გუნდს ეთამაშება, შემდეგ კიდევ გაივლის შეკრებას, რომელიც 16 სექტემბერს, ოლიმპიური ტურნირის დაწყებამდე ერთი დღით ადრე დასრულდება.



მოურნინგი (№33) ვერ შეაჩერა მაკილვეინმა

სიდნეიში აშშ-ს ნაკრებში ითამაშებენ: რეი ალენი („მილუოკი"), ვინ ბეიკერი („სიეტლი"), ვინს კარტერი („ტორონტო"), ტიმ დანკანი („სანანტონიო"), კევინ გარნეტი („მინისოტა"), ტიმ ჰარდუეი („მაიამი"), გრანტ ჰილი („დეტროიტი"), ალან ჰიუსტონი („ნიუ-იორკი"), ალონზო მოურნინგი („მაიამი"), ჯეისონ კიდი („ფინიქსი"), გერი პეიტონი („სიეტლი") და სტივ სმითი (პორტლენდი").



ჯეისონ კიდი

# ითამაშებს საბონისი ოლიმპიადაზე?

კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიურ ტურნირზე სათუოა ცნობილი ლიტველის, ნბა-ს „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" მოთამაშის არვიდას საბონისის გამოსვლა, რომელმაც ფეხის ოპერაცია გაიკეთა. ექიმების აზრით 35 წლის საბონისს განსაკურნავად სულ ცოტა, 8-10 კვირა დასჭირდება. ამიტომ... თვით სპორსტმენის თქმით მან ჯერ არ იცის, ითამაშებს თუ არა ავსტრალიაში. კვლავ გაურკვეველია, ნახავენ თუ არა ოლიმპიადაზე ლიტვის ეროვნული გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, ფორვარდ არტურას კარნიშევიჩუსს. მასაც გაუჭიანურდა მკურნალობა.



არვიდას საბონისი

# პასუხად — მსოფლიო რეკორდი

„ლელო" უკვე წერდა, რომ ოლიმპიადა — 2000-ის მასპინძლებს ტრადიციულად ყველაზე მეტად თამაშებზე თავის გამოჩენის მოცურავეების იმედი აქვთ, რომლებმაც ქვეყნის ამასწინანდელ პირველობაზე გამოსვლა მაღალი შედეგებით აღნიშნეს და ყველა „დააშინეს" მსოფლიო რეკორდებით. მაგრამ არც სხვა ქვეყნების „ცისფერი ბილიკების" ოსტატები არიან ხელდაკრეფილნი. როგორც იცით, ახალი მსოფლიო რეკორდით დაამთავრა გამოსვლა რუსეთის ჩემპიონატში 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრ პოპოვმა. მას მხარი აუბა მეორე რუსმა მოცურავემ რომან სლუდნოვმა, რომელმაც 100 მეტრი ბრასის სტილით 1.00,36 წამში გაცურა და ბელგიელ ფრედ დებურგრეივის 4 წლის წინანდელი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

# ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი — ბუ

*მეშვიდე გვერდიდან*

მოჭადრაკეს ფეხბურთელის ფორმა, აღმოჩნდა, რომ ბუ სიამოვნებით თამაშობს ფეხბურთს და აქ მისი „სპეციალობა" მეკარეობაა.

მოჭადრაკის მამა მექანიკოსია, დედა — მკერავი. ჟურნალისტის სიტყვით, არც ოჯახის სხვა წევრები არიან „აკადემიკოსები". 6 წლისა რომ გახდა, ჭადრაკი ბიძამ და პაპამ ასწავლეს. ამის შემდეგ მშობლიური ქალაქის საჭადრაკო სკოლაში ჩაირიცხა და დიდი მუყაითობა გამოიჩინა. ახლა კი, ასე გასინჯეთ, კერძო მწვრთნელიც კი ჰყავს. თურმე, უკვე ორი წელია ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში აღარ დადის. ამისათვის ჭადრაკი დროს აღარ უტოვებს.

ბუ ბევრს მოგზაურობს და ბევრს თამაშობს. წლის დასაწყისში პეტერბურგში მონაწილეობდა XIX საუკუნის ცნობილ რუს მოჭადრაკე პეტროვის მემორიალში. იგი შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა, 9 ტურად. ჩინელმა ყმაწვილმა მოიგო პირველი 4 პარტია, შემდეგ კი ძალა აღარ ეყო. სულ ახლახან ლოზანაში (შვეიცარია) ბუ მონაწილეობდა 8 ყველაზე უფრო ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკის ტურნირში. ერთი სიტყვით, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის და ძალებს იკრებს.

ბუ ნაკლებად ჰგავს 14 წლის ყმაწვილს, უფრო თვრამეტწლიანს, 180 სმ სიმაღლისაა და 80 კგ-ს იწონის. როგორც გერმანელმა დიდოსტატმა რაი თიშბირეკმა განაცხადა, ბუ მას ძალიან აგონებს ადრინდელ გატა კამსკის: დებიუტები ცუდად იცის და დასაწყისშივე მძიმე პოზიციებს იღებს, მაგრამ შემდეგ იშვიათი შეუპოვრობით თამაშობს.

როცა ჟურნალისტმა ჰკითხა გეგმების შესახებ, ბუმ ასე უპასუხა, შემოდგომაზე კი არის სტამბოლში საჭადრაკო ოლიმპიადა, მაგრამ იგი დარწმუნებული არაა, რომ ჩინეთის ნაკრებში მოხვდება, იქ ხომ უფრო ძლიერი მოჭადრაკეები არიან. ისე კი, როგორც ბუმ განაცხადა, მხოლოდ შარშან, სულ სამ თვეში ოთხჯერ შეასრულა დიდოსტატის ნორმა, ბოლოს ეს დეკემბერში, პეკინში მოხდა, როცა 14 წლისა შესრულდა. ახლა მისი რეიტინგი მეტად მაღალია — 2565.

აპირებს თუ არა მსოფლიო ჩემპიონი გახდეს? ამ კითხვაზე ბუს ეცინება და ამბობს, რომ უახლოეს ორ წელიწადში გადაწყვეტს, შეეცდება ამას თუ არა. იმასაც გადაწყვეტს, ითამაშოს ჭადრაკი თუ არა, რადგან მათემატიკაც ძალიან აინტერესებს.

ბივი თორელი

# გურამ ხუხუნაიშვილი



ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი ბაიდარებით ნიჩბოსნობაში გურამ ხუხუნაიშვილი.

დაიბადა სპორტული ტრადიციებით მდიდარ ქალაქ მცხეთაში 1934 წელს. 1953 წელს წარჩინებით დაასრულა მცხეთის საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სწავლასთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული სპორტის საწყლოსნო სახეობებში. სტუდენტობის პერიოდშიც არ მიუტოვებია ბაიდარებით ნიჩბოსნობა და სხვადასხვა დროს მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებზე. იგი ბოლომდე დარჩა ჩვენი ნიჩბოსნობის სამყაროს ერთგული მეობარი და თანამდგომი.

წავიდა ჩვენგან უაღრესად განათლებული, ერუდირებული, თავის ქვეყანასა და ახალგაზრდობაზე, სპორტზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თავისი მშობლიური ქალაქის, საქართველოს ნიჩბოსანთა თემისა და მის მიერ აღზრდილ თაობათა გულებში.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაცია,
მცხეთის ინტელიგენცია და რაიონის სპორტული საზოგადოებრიობა

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს კოლეგას, ჟურნალ „ნიანგის" მთავარ რედაქტორს ჟანი სიხარულიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

# ულტრამოდური საცურაო «ჩაერევა» შედეგებში?

*სპორტული არბიტრაჟის სასამართლომ არსებული საცურაო კოსტუმის სრული ლეგალიზება მოახდინა. ეს საცურაო სამოსი, რომელსაც „ლონგ ჯონი" ჰქვია, კისრიდან ხელისგულებამდე ფარავს სპორტსმენის სხეულს. ამრიგად, ფინა-მ (ცურვის საერთაშორისო ფედერაცია) ნება დართო შეჯიბრებაზე ამ სიახლის გამოყენებას. დასკვნა ასეთია: ახალი ეკიპირება ხელს უწყობს სპრინტერს სისწრაფეში.*

*დაჟინებით მოითხოვდა ლეგალიზაციას ავსტრალიის ცურვის ასოციაცია იმის შიშით, რომ სპორტსმენები, რომლებიც უარს იტყვიან ამ სიახლის გამოყენებაზე სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში, შეეცდებიან გააპროტესტონ სხვის მიერ ამ ულტრამოდური საცურაოთი მოპოვებული მედალი. თამაშების მასპინძელთა ასეთი დაინტერესება სიახლით, გასაგები უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ 1956 წლის ავსტრალიაში (მელბურ ი) გამართულ XVI ოლიმპიადაზე ერთადერთი სახეობა სწორედ ცურვა იყო, სადაც მასპინძელმა სპორტსმენებმა გაიბრწყინეს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გამოსვლებში ცისფერ ბილიკებზე.*

*სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონები და რეკორდსმენები მაიკლ კლიმი, იენ ტორპი, გრანტ ჰაკენი აღფრთოვანებულები შეხვდნენ სიახლეს, რომლის იდეა თითქოს ავსტრალიელთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა გ. ტურეცკიმ შეიმუშავა.*

*ავსტრალიელებს თამაშებზე სულ დაგეგმილი აქვთ 20 მედლის მოპოვება, აქედან 6-8 ოქროსი მეტწილად ალბათ ცურვაში, თუმცა, არც იმას გამორიცხავენ, შენელებული მოქმედების ეს პატარა ბომბი შეიძლება დიდ სკანდალად იქცეს. მათ გულდასმით შეისწავლეს ფინა-ს წესები. ერთის მხრივ საცურაოს ზომებს არ ზღუდავს, მეორეს მხრივ კი — კრძალავს ტექნოლოგიისა და რაიმე ხელსაწყოს გამოყენებას, რომელიც წყლის წინააღმდეგობის შემცირებას უწყობს ხელს.*

*საქმე ის არის, რომ „ლონგ ჯონის" გამოყენების ეფექტი ჯერ დამტკიცებული არ არის. ზოგიერთ მოცურავეს მიაჩნია, რომ კოსტუმი „საშიშ მომენტსაც" (მიჩვევას) მოიცავს, უიმისოდ ისე ველარ გაცურავ, ვინაიდან მთელი ტექნიკა კოსტუმს „ემორჩილება".*

# ლარი ბერდი მიდის

„ინდიანა პეისერზის" მთავარმა მწვრთნელმა ლარი ბერდმა, რომლის სახელთანაა დაკავშირებული გუნდის ბოლო სამი წლის წარმატებები, გადაწყვიტა „ლოს-ანჯელესთან" ფინალური სერიის დამთავრების შემდეგ დატოვოს პოსტი.

სამი წლის წინათ „ინდიანაში" მისვლისას მან განაცხადა, რომ სამ წელიწადს ავარჯიშებს გუნდს, რის შემდეგაც, შედეგების მიუხედავად, გადადგება. ეტყობა, ბერდი სიტყვის კაცია, არ დაიხევს უკან.

# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

8-23 ივლისს ლ. მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე (მარჯანიშვილის, 29) ტარდება პროფესიონალ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირები „ჯეოსელის" თასზე. აკრედიტაციის მსურველებს ვთხოვთ მოგვმართონ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში 6 ივლისამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები





**30 ივნისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (1.25), ***НТВ плюс футбол.*** საფეხბურთო არქივის არხი. საკლუბო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი: რეალი — კასაბლანკა (17.30), ნეკაქსა — ვასკო და გამა (23.10), ბრაზილიის თასის ნახევარფინალური მატჩი (19.30), ევროპული ფეხბურთი (21.15), ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის პირველობა (11.15, 14.30, 17.00, 2.15), წყალხტომი. მსოფლიო ტური (0.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00)

**1 ივლისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (1.40), ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის თასი. მეოთხედფინალი (13.15, 17.35, 23.10), საფეხბურთო არქივის არხი. საკლუბო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი: ნეკაქსა — ვასკო და გამა (15.00), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (5.00, 13.00), ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის პირველობა (11.15, 19.30, 2.15), ველორბოლა. ტურ-დე-ფრანსი (20.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00)

**2 ივლისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.40), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის თასი. ნახევარფინალი (13.15, 20.30), ***ESPN.*** ველორბოლა, ტურ-დე-ფრანსი (2.00), ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის პირველობა (11.15, 16.00, 18.30, 0.00, 1.00), წყალხტომი. მსოფლიო ტური (13.00), მოტორბოლა. ევროპის პირველობა (14.45, 20.30), საბრძოლო ხელოვნება (22.30)

# კროსვორდი №49



**თარაზულად:** 5. ცხენოსნების ეროვნული სახეობა. 6. საწყისი ანუ... 8. ქვეყანა, სადაც წლეულს ოლიმპიური თამაშები გაიმართება, 9. ჩილელი ფეხბურთელი, 1998 წლის მსოფ. ჩემპიონატის მონაწილე, 10. ცნობილი ჩეხი ტრამპლინიდან (70მ) მხტომელი, ოლ. თამაშების ჩემპიონი (1968), 12. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, წარმოშობით ბერძენი, 18. ცხენთა ჭენება გრძელ მანძილზე, 27. ასპარეზი, სარბიელი... 22. საუკეთესო, ექსტრაკლასის ფეხბურთელი, მოჭადრაკე... 22. ცნობილი თანამედროვე ქართველი ფალავანი, 23. ალპინისტური ცენტრი სვანეთში (რაიონი), 24. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, მს. ჩემპიონი.

**შვეულად:** 1. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი, 2. ცნობილი ვეტერანი ფრანგი ფეხბურთელი, 3. ილეთი ჭიდაობაში, 4. ფეხბურთში შუამარბი ანუ... 10. საფარიკაო იარაღი, 11. ჩილელთა მწვრთნელი ფეხბურთში 1998 წ. მ/ჩემპიონატზე, 13. ჭადრაკში ხელოვნურად მოცემული მდგომარეობა (ამოცანისგან განსხვავებით სვლების რაოდენობა არაა განსაზღვრული), 14. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი — მეკარე, 15. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში, 16. ფრანგი ფეხბურთელი — ნაკრების წევრი, 17. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა, 19. თევზჭერის ინვენტარი, 21. ლეგენდარული ჰოკეისტი.

**«კროსვორდი» №48-ის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. დავიდსი, 9. ბური, 23. კლუივერტი, 4. პიერო, 6. ამბროზინი, 16. ლივიო, 24. ბიაჯო, 26. იულიანო, 5. ლამა, 20. ანელკა, 25. მიკუ, 10. კოშტა, 14. ბაია, 19. სეკრეტარიუ, 21. ვიდიგალი.

**შვეულად:** 1. მაკაი, 2. კონტერმანი, 13. ვინტერი, 4. პინტუ, 8. კოშტინია, 15. გომეში, 22. ფიგუ, 7. ნეგრო, 11. ტოლდო, 12. მალდინი, 17. კანავარო, 18. კანდელა.

# საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**

სოფ. კარდენახი



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლc8! მუქარა 2. ლc4X.
1. ...fe 2. კc3X. 1. ...კ:d2 2. ლc3X.
1. ...კc5 2. კc1X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ჟურნალი №4 ივნისი. 2000 წელი


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საქართველოში კარატე-დოს განვითარებაში შეტანილი უდიდესი ღვაწლისათვის დაჯილდოვდნენ ფედერაციის სპეციალური საპატიო დიპლომებით

დავით თევზაძე;
რევაზ ადამია;
გიორგი ბარამიძე;
გიგი წერეთელი;
მიხეილ მაჭავარიანი;
ედუარდ სურმანიძე;
თორნიკე ბერიშვილი;
თენგიზ გაჩეჩილაძე;
თემურ ჯორჯაძე;
თემურ რამიშვილი;
ბესიკ ხუციშვილი;
ნოდარ ხაჯიშვილი;
ომარ რევიშვილი;
თენგიზ კიკნაძე.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული
ფედერაციის პრეზიდენტი
*კახა ბასილია*
27.06.2000 წელი.

# საქართველოს პირველობა შოტოკან კარატე-დოში




მაშინ, როდესაც საქართველოში თითქმის ყველამ დაამთავრა შეჯიბრები, როგორც აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ისე სპორტის სხვა სახეობებში, საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში სეზონის დამთავრება არც კი იგრძნობა. 23-24-25 ივნისს ქალაქ ფოთში კარატეს გულშემატკივრებმა ნამდვილი სპორტული დღესასწაული იხილეს - „საქართველოს პირველობა შოტოკან კარატე-დო"-ში, რომელიც გაიმართა როგორც კუმიტეში ასევე კატაში. შეჯიბრის გახსნა-დახურვა საზეიმო ვითარებაში მოხდა, სადაც პატარა საჩვენებელი შოუ-პროგრამებიც კი იყო, რამაც კიდევ უფრო გაახალისა სპორტსმენები და მაყურებელი. მოკლედ პირველობამ დასაწყისიდან დასასრულამდე უნაკლოდ, გრანდიოზულად ჩაიარა. პირველობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა კუთხის ძლიერმა სპორტსმენმა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მათი ჟინიანობა და მაყურებელიც განსაკუთრებით გულშემატკივრობდა თავის რჩეულს. სამივე დღეს იმდენი მაყურებელი მოდიოდა, რომ დარბაზში ველარ ეტეოდა და ამ საინტერესო სანახაობიდან შორს რჩებოდა. ბრძოლები დაძაბულად მიმდინარეობდა და არცაა გასაკვირი, თუ რატომ - პირველობაში ხომ ძირითადი წამყვანი სპორტსმენები მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან.

შეჯიბრს მრავალმხრივი მიზანი ჰქონდა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი კარატეს ეროვნული ნაკრების დაკომპლექტება იყო, რომელიც აგვისტოს ბოლოს მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს ქალაქ ტოკიოში. ეროვნული ნაკრები საკმაოდ კარგ ფორმაშია, მაგრამ იმისათვის, რომ ეს უზარმაზარი ჩემპიონატი მოიგონ უფრო მეტ ვარჯიშს მოითხოვს და, ამიტომ პირველი ივლისიდან საწვრთნელ შეკრებას ჯერ ქალაქ ფოთში, შემდეგ ბათუმში, ხოლო აგვისტოდან ქალაქ დუბნაში (რუსეთი) გაივლის, ამის შემდეგ კი წავლენ, რომ კიდევ ერთხელ დაუმტკიცონ მსოფლიოს ქართველობა...

მაგრამ არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს ამ დიდი სპორტული ღონისძიების ჩატარებაში, თუ რამხელა წვლილი უდევს საქართველოს მოქალაქეთა კავშირს, ქალაქ ფოთის საკრებულოს, მის სპორტკომიტეტსა და რა თქმა უნდა საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციას. ყველაფერი ეს კი მხოლოდ დღევანდელი დღით არ განისაზღვრება, დიდ მომავალს უკავშირდება, სიკეთის მომტანს ...

ზევით ვთქვი, რომ ჩემპიონატი მრავალ სასიკეთოს ისახავდა მიზნად. ქალაქ ფოთში შედგა ოფიციალური შეხვედრა საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციასა და ფოთის ხელმძღვანელობას შორის, სადაც განიხილეს და საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ექსპერიმენტის სახით ქალაქის რამოდენიმე სკოლაში სასწავლო პროგრამაში შეიტანონ კარატე , როგორც სავალდებულო საგანი. ვფიქრობ ეს ერთ-ერთი გზაა, რომლითაც ქართველ ერს თავის გადარჩენა შეუძლია. კარატეს გზა ხომ უცვლელია ჯანმრთელი, საღად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ბავშვი სკოლიდანვე შეისწავლის საბრძოლო ხელოვნებას და ადამიანისათვის ყველა დადებით თვისებას და ჩამოყალიბდება ნამდვილ მებრძოლად, სულით და ხორცით, რომელიც მომავალში ნამდვილი პატრიოტი, საქართველოს დამცველი იქნება. აი ასეთი დიდი შედეგის





მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის აღმოსავლურ ორთაბრძოლის ამ სისტემის დანერგავს. საქართველოში ამის ანალოგი უკვე არის აჭარაში, ქალაქ ბათუმში, რაც მისი ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ნოდარ ხაჯიშვილის დიდი დამსახურებაა. უკვე ბევრჯერ ავღნიშნე, რომ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია ერთ-ერთია თავისი ნაყოფიერი მუშაობით, მიუხედავად მისი არსებობის მცირე ხნისა. იგი მთელი თავისი შესაძლებლობით იღწვის, როგორც კარატეს, განვითარებისათვის საქართველოში, ისე მთელი ერის საკეთილდღეოდ და შედეგიც სახეზეა. მთელი წლის განმავლობაში ატარებს სხვადასხვა ტიტულით უამრავ შეჯიბრებს, სადაც ახალ - ახალი ტალანტები ჩნდება და საბოლოოდ ხდება მათი დახვეწა. ეს კი კარატეს განვითარების ერთ-ერთი ეტაპია, რომლის გავლის გარეშეც შეუძლებელია სასურველი შედეგის მიღება.

პირველობის დასასრულს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა კახა ბასილიამ, ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებთან თემურ ჯორჯაძესთან და თემურ რამიშვილთან ერთად ფოთში კარატეს განვითარებისა და ამ მომავლის საქმეში დიდი წვლილის შეტანისათვის ფედერაციის საპატიო დიპლომებით დააჯილდოვეს ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მოგელი ტყებუჩავა და მისი მოადგილეები ბატონები თემურ წურწუმია და ლევან ცაგერია. სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი ოთარ ხომერიკი და ფოთის ტელევიზიის უფროსი ქალბატონი ლეილა კაკულია.

ყველაფერი ეს კი სურვილად დარჩებოდა და მეტი არაფერი იქნებოდა, რომ არა საქართველოს კარატედოს ეროვნული ფედერაციის ერთგული მეგობრები, რომლებიც ყოველთვის გვერდით უდგანან ულალატოდ და ეხმარებიან შეძლებისდაგვარად, უანგაროდ ... სანაცვლოდ კი კარატეს ეროვნული ფედერაციას სახელი და ყოველ წელს უამრავი მედალი მოაქვს საქართველოსათვის, მაგრამ ვფიქრობ ყველაზე დიდი გამარჯვება მაინც ქართული მებრძოლი სულის აღორძინება და მისი სიჯანსაღეა ... უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა და მისმა გენერალურმა მდივანმა ბატონმა ედუარდ სურმანიძემ ფედერაციას დახმარება და ძირითადი პრობლემების დადებითად გადაწყვეტა აღუთქვა.



პირველობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ ფოთის საკრებულოს მიერ დაწესებული მედლები,დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ დღევანდელ პირობებში ასეთი დიდი საქმის გაკეთება ძნელია, უფრო სწორად ურთულესი, მაგრამ ეს ფედერაცია მაინც ახერხებს და თანაც ძალიან კარგად. ალბათ ყველას დაებადება კითხვა და ლოგიკურიცაა როგორ? რანაირად? ეს ხომ შეუძლებელია?... რატომ? სულაც არა,. თუ როგორ და რანაირად ამას აგიხსნით: პირველ რიგში ჩვენი საქმე უნდა გვიყვარდეს მთელი არსებით, პირადი ამბიციები გვერდზე უნდა გადავდოთ, ან უფრო სწორი იქნებოდა, საერთოდ აღმოიფხვრას კაცობრიობის ეს მავნებლობა... ერთ მუჭად შეკვრაა საჭირო და ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ეს ფედერაცია კი ყველაფერ ამაში სანიმუშოა. იქნებ სხვამაც იგივენაირად იმოქმედოს და უფრო მეტი ... გვყავდეს.

და ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება, მითუმეტეს იაპონიაში ასე უბრალოდ არ ხდება. ეს ძალზედ ძნელი და ამავე დროს საპასუხისმგებლოა, არ უნდა შერცხვეს საქართველოს ნაკრები. გისურვებთ წარმატებას.

**6 წელი**

I გიორგი ბეკვერია (ფოთი);
II გიორგი გოგუაძე (ლანჩხუთი);
III ლაშა კვირაია (ფოთი).

**7 წელი**

I კახა ხაბეიშვილი (ფოთი);
II შოთიკო სარსანია (ფოთი);
III იაგო სორდია (ფოთი);
III მიშა კლდიაშვილი (ქუთაისი).

**8-9 წელი**

I თამაზ სამხარაძე (გორი);
II გურამ კოხრეიძე (ქუთაისი);
III ჰენრი ვეკუა (ფოთი);
III ჯაბა ახალია (გორი).

**10-11 წელი**

I თენგო კუხალაშვილი (ქუთაისი);
II დათო ტყებუჩავა (თბილისი);
III ლევან გელდიაშვილი (თბილისი).

**12-13 წელი**

I ლევან გორელაშვილი (თბილისი);
II შალვა შიოშვილი (თბილისი);
III ლევან ბეკვერია (ფოთი).

**14-15 წელი**

I მალხაზ მაღლაკელიძე (ქუთაისი);
II დათო შარვაშიძე (ქუთაისი);
III ჯუმბერ ჯოჯუა (თბილისი).

**16-17 წელი**

I გიორგი გოლოშვილი (გორი);
II იონა ხუციშვილი (თბილისი);
III ნიკა წურწუმია (ზუგდიდი).

**18 წლის +**

I სოსო ხანთაძე (ქუთაისი);
II აჩიკო მაყიშვილი (გორი);
III გიორგი ტატუაშვილი (თბილისი).

**გუნდური კატა**

**I**
**თბილისის ცენტრალური სკოლა**

დათო აბრამიშვილი;
ბექა ხმალაძე;
ლევან გორელაშვილი.

**II**
**თბილისის II გუნდი**

ნიკა წურწუმია;
ჭაბუკა მახარაძე;
ემილ თოფჩიევი.

**III**
**ფოთის გუნდი**

ანა ძაძამია;
ჰენრი ვეკუა;
ლევან ბეკვერია.

**III**
**მაკაზიას გუნდი**

ჯუმბერ ჯოჯუა;
ნინო ჯოჯუა;
კარინა კაზახბარიანი.

**გოგონების კატა**
**14 წლამდე**

I სალომე ღლონტი (ფოთი);
II სალომე სულამანიძე (ფოთი);
III ნინო ჯუჯუა (თბილისი).

**17 წლამდე**

I ანა ძაძამია (ფოთი);
II თეა ნუცუბიძე (ქუთაისი);
III კარინ კაზბაშიანი (თბილისი).


საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.
მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道



სტუდენტური
USFRG
სპორტი

ყურადღება!
საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი".
გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ.
მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.
ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

*იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი"*
*- გაახალგაზრდავდით!*


მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ